პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—48

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 33 (885) შაბათი, 9 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 33 (885)

დ ღ ი უ რ ი

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადები ხელს უშლიან გერმანიის მუშებს—მაინც გრძელდება საერთო-გაფიცვა ზოგიერთ წარმოებებში.

იაპონიის მთავრობა რევოლიუციონურ პროპაგანდის მიზნით ჩხრეკას ახდენს უცხოელებს შორის.

11 თებერვალს სპარსეთში გაიხსნება მეჯლისი.

მექსიკის ფედერალურმა ჯარმა ალყა შემოარტყა აჯანყებულთა ქალაქ ვერა-კრუცას.

ამ დღეებში გაიხსნება რუსულ-ინგლისური სავაჭრო მოლაპარაკება მოსკოვ-ლონდონს შორის.

შაბათს 9 თებერვალს

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა, მუშკორების და სამხედრო კორესპონდენტების კლუბის „მუშათა პრესის“ შენობაში (აბა აბადის მოედ. № 7) სრულ საათზე, გაიხსნება

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სრულიად საქართველოს 2 ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. მომხსენებ. ამხ. რუბენი.
2. ჩვენი პრესის მდგომარეობის და მიზნების შესახებ.
3. ანგარიში საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ბიუროს მოქმედების შესახებ და უახლოეს მუშაობის გეგმა მომავლისათვის—მომხსენებ. ამხ. გიულუმიანი.
4. მოხსენება ადგილებიდან.
5. საქართველოს კომპარტიის ცეკას ბეჭდვითი საქმის ქვეგანყოფილების გამგის ამხ. ორახველიძის მოხსენება და რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდ. საქ. ქვეგანყოფილების გამგის ამხ. საყვარელიძის მოხსენება.
6. სექციის კულტურულ მუშაობის შესახებ—მომხსენებელია ამხ. ავენირი.
7. მუშკორების ორგანიზაციის შესახებ—მომხს. ამხ. კუზინა.
8. საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ბიუროს არჩევნები.

საღამოს 6 საათზე იმავე შენობაში დანიშნულია ყრილობის კომფრაქციის სხდომა.

ყრილობაზე დასწრება შეუძლიათ ქ. ტფილისის ბეჭდვითი საქმის ყველა მუშკორებს და სამხ. კორესპონდენტებს.

კავშირის ცენტრ. გამგეობის მდივანი—**მეძმარიაშვილი.**
საქ. განათლ. მუშაკთა კავშირის ბიუროს მდივანი—**გიულუმიანი.**

2—1

ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ პროვინციაში

ამ დღეებში რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ მაზრებში. ავტორები აღნიშნავდნენ მრავალ ნაკლს ამ მუშაობაში.

საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მასზე კვლავ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

პირველი, რაც გვეცემათ თვალში მაზრის და რაიონის მასშტაბით მომუშავე ამხანაგების მუშაობაში,—ეს ისაა, რომ მათ ნაკლებად გააჩნიათ ერთიანი, მთლიანი, დაწვრილებით გათვალისწინებული გეგმა საქმიანობის. მათ მოქმედებას ხშირად შემთხვევის ხასიათი აქვს და მიმდინარეობს, ასე ვსთქვათ, დღიდან-დღემდე.

ქვეყნის აღორძინება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ჩვენს მუშაობას მტკიცე გეგმა უდევს საფუძვლად, როცა გამორკვეული გვაქვს, თუ რა უნდა ვაკეთოთ ეხლა, ამ წელიწადში, თუ რა უნდა ვაკეთოთ შემდეგ წლებში, და ასე თანდათანობით.

თუ რესპუბლიკის მასშტაბით ერთობ ძნელია ასეთი გეგმის შედგენა, რამდენადაც აქ მრავალი და რთული საკითხები ჰყოფენ თავს,—მაზრის და რაიონის ფარგლებში ეს გაცილებით ადვილად უნდა იყოს განსახორციელებელი, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში, სხვათაშორის, სიმცირე ტერიტორიის და გადასაჭრელ საკითხების არა ისეთი რთული ხასიათი იძლევიან ამის გარანტიას.

რა ელემენტები განსაზღვრავენ აღმშენებლობითი მუშაობის გეგმის შედგენას?—უმთავრესად: ამა თუ იმ ტერიტორიის ეკონომიური ხასიათი, მოსახლეობის განსაკუთრებული საჭიროებანი, რესურსები, მატერიალური საშუალებანი.

როდესაც ჩვენ დავაკვირდებით პროვინციაში წარმოებულ მუშაობას, დავინახავთ, რომ ხშირად პირველ რიგში არ კეთდება ის, რაც აუცილებლად საჭიროა მოსახლეობისათვის.

ავიღოთ მაგალითები: სოფლად დღეს ძალიან მოდებულია თეატრების და კლუბების შენება. ასეთებს აგებენ ისეთ მიყრუებულ კუთხეებშიც, სადაც უბრალო წერა-კითხვის მცოდნე სანთლითაა საძებარი, არც ასეთ დაწესებულებებში მომუშავე კულტურული ძალები მოიპოვებიან.

ასეა ელექტროფიკაციის საქმეც. ელექტროსადგურებს აშენებენ ბევრ ალაგას. მაგრამ საგულისხმო კურიოზი: დუშეთში გააშენეს ასეთი სადგური. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ენერგიას არავინ ყიდულობს: ის ნავთზე უფრო ძვირია და საერთოდ ისე დაცემულია გლეხის მსყიდველობითი ძალა, რომ ელექტრონის სინათლისათვის ფულის გაღება მას ფუფუნებად ეჩვენება.

ერთ დროს ზოგიერთი ამხანაგები გაიტაცა „შოვის“ (რაჭის მაზრა) საკურორტოდ მოწყობამ. მარტო ხეირიანი გზის გაყვანა ამ განზრახულ კურორტამდე შეიწირავს იმდენ თანხას, რომლის ატანა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება დღეს-დღეობით.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ თეატრების და კლუბების, ელექტროფიკაციის, ან კურორტების. ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. დიდება და პატივი ყველა ამას.

ჩვენ თეატრი-კლუბიც გვესაჭიროება, ელექტროფიკაციაც, კურორტიც და სხვა ბევრი ასეთი რამ.

მაგრამ ყველა ასეთების ფართო მასშტაბით მოსაწყობად ჩვენში ჯერ-ჯერობით არ არსებობს მატერიალური პირობები.

ღარიბ გლეხობის ბავშვებს სკოლებში სახელმძღვანელო წიგნები ვერ შეუძენიათ; ასე თუ ისე ვარგისი გზები ვერ გადაგვიყვანია სოფლად; გლეხს არ გააჩნია მკვდარი და ცოცხალი ინვენტარი მიწის დასამუშავებლად; მიწები ბევრ ალაგას გამოფიტულია; ზოგან ჭაობი ახრჩობს სოფლის მეურნეობას, ზოგან კიდევ მოურწყაობით ვერანდება ადგილ-მამული. გლეხს საპერანგე ნართის შეძენა ვერ მოუხერხებია; ის ჩარჩის კლანჭებშია მოქცეული, და მრავალი სხვა.

აი, საითკენ მართებთ ადგილობრივ ორგანოებს ყურადღების ცენტრის გადატანა უმთავრესად და პირველ ყოვლისა.

ამის მაგივრად ჩვენ ვხედავთ უფართოეს გეგმებს, რომელთა განხორციელებას ვინ იცის როდის ვეღირსებით და რომელთაც ხშირად ეფექტის მნიშვნელობა აქვთ და უშუალოდ არ გამომდინარეობენ ხალხის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდან.

არსებითად ესაა სრული უგეგმობა, ფანტაზიით გატაცება, საღი რეალიზმის გრძნობის დაკარგვა, არსებული საშუალებათათვის ანგარიშის გაუწევლობა.

ასეთ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო.

ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები მკვიდრად უნდა დადგნენ იმ ნიადაგზე, რომელზედაც მათ უხდებათ მოღვაწეობა; ისინი უნდა განიმსჭვალონ იმ აზრით, რომ საჭიროა პირველ რიგში შეუდგნენ რეალური გეგმის შემუშავებას და თავიანთ მოღვაწეობის უფრო მეტ შეფარდებას გლეხობის დღევანდელ და პირველ ყოვლისა ეკონომიურ მოთხოვნილებებთან.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფრის ერთბაშად გაკეთება არ შეიძლება. ჩვენ უნდა შევკვეცოთ „დიდი“ საქმეებით გატაცება და უმთავრესად შევეცადოთ იმ „წვრილ“ საქმეების კეთებას, რაც ასე საჭიროა დღეს ჩვენი გლეხობისათვის.

კანონის დარღვევა არ შეიძლება

ამხ. ს. ორჯონიკიძის წერილს, რომელიც დიდს პრაქტიკულ ინტერესს იწვევს, ამხ. თათეიშვილი გამოეკამათა.

ამხ. თათეიშვილი ემყარება ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის ივნისის 29 ს დადგენილებას ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უმაღლეს განაკვეთების შესახებ ჩერვონეცის მანეთებში და ამტკიცებს, რომ შორაპნის სამაზრო აღმასკომმა იმიტომ შემოიღო გლეხთათვის შემაწუხებელი გადასახადები, რომ ამას მოითხოვს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ დამტკიცებული დეკრეტები და კანონები.

ეს სავსებით მოკლებულია სიმართლეს. კანონი მხოლოდ უფლებას აძლევს აღმასკომებს, რომ ადგილობრივ საშუალებათა გასაძლიერებლად ესა თუ ის გადასახადები და გამოსაღებები დააწესონ, ისიც არა უმაღლესი განსაზღვრულ ნორმისა, ხოლო ამ უფლებით სარგებლობა სავსებით დამოკიდებულია თვით აღმასკომებზე. ასეთს პირობებში სრულიად ცხადია, რომ შორაპნის მაზრის აღმასკომი, რომელსაც დაუწესებია გამოსაღების უმაღლესი განაკვეთი ბაზარზე მორეკილ გასაყიდ საქონელზე, მოქმედებდა სავსებით დამოუკიდებლად და ამიტომ შეუძლებელია დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება.

მხოლოდ ეს ერთი ფაქტიც უმაღლეს განაკვეთების დაწესებისა მორეკილ საქონელზე ნათლად მოწმობს, თუ როგორ ხორციელდება შორაპნის მაზრაში სოფლის ჩაბმა საქონლის ტრიალში. მაგრამ უბედურება ის არის, რომ შორაპნის სამაზრო აღმასკომი არ დასჯერდა კანონით გათვალისწინებული უმაღლეს განაკვეთებს გლეხების მიერ ქალაქში შემოტანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და ეს განაკვეთები გაადიდა სამჯერ და რვაჯერაც.

1923 წლის აპრილის 2-ს დეკრეტის მე-2 კარის მე-3 თავის მე-6 მუხლის თანახმად ფეხზე ვაჭრობა (ურმებით და სხვა) უნდა დაიბეგროს დღეში არა უმეტეს ორის პროცენტისა ამა თუ იმ ადგილის მეორე ხარისხის სავაჭრო წამოწყების ნახევარ წლის სასარეწაო მოწმობის ფასისა; ვინაიდან ხსენებულ მოწმობების ფასი უდრის ჩერვონეცის სამ მანეთს—გამოსაღების უმაღლესი განაკვეთი განსაზღვრულია ჩერვონეცის 6 კაპეიკით. მიუხედავად ამისა შორაპნის მაზრაში ურმით ქალაქში შემოტანილი სასოფლო სამეურნეო პროდუქტები იბეგრება:

ა) ურმით შემოტანილი თივა, ან ჩალა—20 კ.

ბ) ურემზე გაყიდული სასურსათო პროდუქტი, ხილი და სხვა—20 კ.

გ) ურმით შემოტანილი ხე-ტყის მასალა—50 კ.

ამის შემდეგ განა შეიძლება იმის თქმა, რომ ამხ. ს. ორჯონიკიძის წერილი გაუგებრობაზეა აგებული?

ამხ. თათეიშვილი ამბობს, რომ ზემოხსენებულს დეკრეტებს რესპუბლიკის დანარჩენი აღმასკომებიც ისევე ასრულებდნენ და ასრულებენ, როგორც შორაპნის სამაზრო აღმასკომი. თუ ეს ასეა, დიდად სამწუხაროა და ამის წინააღმდეგ სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ა. ერქომაიშვილი.

ეკონომიური პოლიტიკის საკითხები

2 სახელმწიფო მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა

მუშათა კლასმა, რომელმაც დაიპყრო პოლიტიკური ძალა-უფლება, შესძლო სამეურნეო მწვერვალების შენარჩუნებაც ამ უკანასკნელის გარეშე, პირველი დაჰკარგავდა თავის აზრსა და შინაარს. პოლიტიკური ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელში იმდენათ არის დადებითი ფაქტი, რამდენათაც მისი საშუალებით იგი ხელს შეუწყობს ძველი ეკონომიური ურთიერთობის დამხობას, კაპიტალისტური საზოგადოების ატრიბუტთა ლიკვიდაციას და მის ადგილას დაამყარებს სოციალისტური საზოგადოებისათვის აუცილებელ საფუძვლებს. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასი ეკონომიური ცხოვრების სფეროში შექმნის თავის ბატონობის მკვიდრ ნიადაგს.

სახელმწიფო მრეწველობა სწორედ ეს ნიადაგია. ეს სამეურნეო მწვერვალებია, რომლიდანაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს მთელ სამეურნეო ცხოვრებას. რამდენათაც მტკიცეა ეს სახელმძღვანელო მწვერვალი, იმდენათ ადვილდება ახალი სფეროების დაპყრობა, მთელი სამეურნეო ცხოვრების დამორჩილება. ამ მხრივ სახელმწიფო მრეწველობამ საკმაოდ განამტკიცა თავისი არსებობა, მისი განვითარება მოექცა ერთგვარ ნორმალურ კალაპოტში, შეწყდა მექანიური ნახტომები, თავი დააღწია რყევასა და კატასტროფულ მომენტებს და გაადიდა თავისი პროდუქცია. ამ მხრივ მან გაუსწრო სხვა სამეურნეო დარგების ნაყოფიერებას. ეს ტენდენცია თავის უკიდურესობაში მიაწყდა ძირითადი კაპიტალის სწრაფი დაგროვების დიდ სურვილს, რამაც გამოიწვია ფასების ხელოვნურად ზრდა. აქ კი თავი იჩინა კრიზისმა საქონლის გაუსაღებლობის ნიადაგზედ მცხოვრებთა, განსაკუთრებით გლეხური მასების, შემსყიდველობითი უნარი დაშორდა ფასების სიმაღლის ხაზს. ქალაქმა შედარებით შესძლო ამ მაღალი ფასების დაძლევა, მაგრამ სოფლისათვის ის დაუძლეველი დარჩა.

ამ კრიზისის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება დიდი მოგებისადმი სწრაფვის შეჩერება და სახელმწიფო მრეწველობის ისეთი მიმართვა, რომ საქონელს გაეხსნას ბაზარი სოფლის მომხმარებლისათვის. ეს მიღწეული იქნება იმ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ გატარებული იქნება მოგების მინიმალური, ან საშუალო დონე, ხოლო მეორე მხრივ გეგმითი აპარატი გამარტივდება, ან უკეთ გეგმითი სისტემას გავაძლიერებთ და თავიდან ავიცილებთ არა სამეურნეო ხარჯების დიდ რაოდენობას.

მომჭირნეობის პრინციპი უაღრესობამდე უნდა მივიყვანოთ სახელმწიფო მრეწველობაში. სამმართველო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა, სამმართველო შრომის შემცირება, რამდენათაც ამას მოითმენს წარმოება და სამეურნეო შრომის რაოდენობის გადიდება და მისი პირობების გაუმჯობესება, მოგვცემს პროდუქციის გაძლიერებას, საქონლის ღირებულების დაბალ სახეს, რაც ერთად ერთი საფუძველია საქონლის გაიაფებისათვის.

ყოველივე ეს კიდევ არ იქნება საკმაო „მაკრატელის“ პრობლემის გადაჭრისათვის. ჩვენი სასოფლო მეურნეობა არ შეიძლება დარჩეს იმ პირობებში, რომელშიაც ეხლა ის იმყოფება. ინტენსიური კულტურის ფართო განვითარების გარეშე გლეხის შრომა არასოდეს არ დაფასდება ისე და იმდენათ, რამდენათაც ის ეხლა იწევა მას სრულიად პრიმიტიულ ფორმებში. ჩვენი გლეხი, სამეურნეო კულტურის, იარაღების გამოყენების ნაცვლად, თავის ფიზიკური ენერგიის მაქსიმალური გაღებით ცდილობს მეურნეობის წინ წაწევას. ეს გამუდმებული დაუღალავი შრომა ჰქმნის ხალხის უმრავლესობის არა მარტო ეკონომიურად, არამედ სულიერად და ფიზიკურად ჩამორჩენილობას. ამდენათვე ის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის დიდ დროს ვერ შოულობს. მისი განვითარების, როგორც ზოგადი, ისე კერძო ტექნიკური დონე, ფრიად დაბალია, რაც ისევ და ისევ საბოლოო ჯამით გლეხური მასების ყოველმხრივი ჩამორჩენილობის წყაროდ იქცევა.

ამ სფეროში, სახელმწიფოს წინაშე სდგას უმთავრესად ორი ამოცანა: 1. სასოფლო მეურნეობის კულტურის ამაღლება და 2 სასოფლო მეურნეობის პროდუქტებისათვის ბაზრის მოძებნა. ეს ორი ამოცანა მოითხოვს დიდ ყურადღებას და შრომას შედარებით მისი განხორციელება ადვილდება იმ პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც იქნება საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის გამო საბჭოთა რესპუბლიკების სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისათვის გაიხსნება გზა ევროპის ბაზრისაკენ. მართალია, ევროპის ბაზარი დღეს ოკეანეს გაღმა ქვეყნებს აქვთ დაპყრობილი, მაგრამ უმთავრესად რუსეთის პური, რომელიც თავისი ხარისხით მაღლა სდგას, მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს საერთაშორისო ბაზარზე აგრეთვე ესევე პოლიტიკური მომენტი უფრო ხელსაყრელ პირობებს შეგვიქმნის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენისათვის, რაც მეტად საჭიროა ჩვენი გლეხური მეურნეობისათვის.

კომპარტიის მე 13 კონფერენციამ გლეხური მეურნეობის დახმარების საქმისათვის მოგვცა შემდეგი სახელმძღვანელო დებულებანი: 1. იაფი სასოფლო სამეურნეო კრედიტის მოწყობა; 2 სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდება გლეხებისათვის შეღავათიანი კრედიტით; 3. სასოფლო კოოპერაციის დახმარება.

ეს დებულებანი აუცილებლად გამოსადეგია ჩვენი სასოფლო მეურნეობისათვის დღეს ჩვენი გლეხის კაპიტალი, თანხა, რომელიც მან უნდა დახარჯოს მიწის გაუმჯობესებისათვის, თუ იარაღის, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის შეძენისათვის, არა თუ მეტად მცირეა, არამედ იგი თითქმის არც არსებობს გლეხს ხელში რჩება დიდ ხნობით ფულის ნიშნები, რომელიც საშინელი სისწრაფით კარგავს ღირებულებას. გლეხისათვის პრაქტიკულად მოუხერხებელია ორი ვალიუტით სარგებლობა და ჩერვონეცისა და ფულის ნიშნების შეთანაბრებით გამოსვლა სააღებმიცემო სფეროში. გლეხი ყიდის თავის ნაწარმოებს ფულის ნიშნებით და ინახავს ამ უკანასკნელს „შავი დღისათვის“, ან თავის მეურნეობის საჭიროებისათვის, რადგან სოფლის მეურნეობაში ხარჯების გაწევასაც თავისი სეზონი, პერიოდი აქვს. ამავე დროს ფულის ნიშნების დაცემით ყოველ დღე ზარალობს გლეხის ოჯახი და მისი მეურნეობა.

თავი რომ დავახწიოთ ამ მდგომარეობას, უნდა მოვაწესრიგოთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი. უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, როდესაც გლეხს ექნება საშუალება თავისი შრომა და მეურნეობა ერთგვარ სიმტკიცის ფარგლებში მოაქციოს და შესძლოს მისი პირობების გაუმჯობესება.

რაც შეეხება იარაღების მიწოდებას გლეხებისათვის, ამის საჭიროებაზედ ლაპარაკიც კი მეტია. ვიდრე ჩვენი გლეხი ადამისეული გუთნით ჩიჩქნის ნიადაგს, მანამ წარმოუდგენელია, რომ მისი შრომის პროდუქტებმა შესძლოს სახელმწიფო მრეწველობის პროდუქტების შეთანაბრება თავისი ღირებულებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას და სასოფლო-სამეურნეო კომუნებს ერთი მხრივ გლეხმა უნდა ისარგებლოს შრომის დანაწილების დადებითი შედეგებით, რაც შესაძლებელია კოლექტიურად დამუშავების დროს და მეორე მხრივ გლეხში უნდა განმტკიცდეს ინიციატივა, საერთო საქმის დაწყების, გაძღოლის და მართვის შეგნება და ცოდნა ბოლოსა და ბოლოს გლეხის მეურნეობა ამ გაყინულ წერტილიდან უნდა დაიძრეს და იგი თავის განვითარებაში უნდა ეზიაროს მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს. ეს კი შესაძლებელი გახდება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისა და სასოფლო-სამეურნეო კომუნების საშუალებით.

ამ რიგად, ერთი მხრივ სახელმწიფო მრეწველობის სფეროში ხარჯების შემცირება, მოგების დაწევა, მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობის სფეროში ინტენსიურ კულტურაზედ გადასვლა, მისი უზრუნველყოფა კრედიტით და საწარმოო იარაღებით, შესძლებს ერთხელ და სამუდამოდ „მაკრატლის“ პრობლემის გადაჭრას, მოგვცემს გლეხისა და მუშის კავშირის ეკონომიურ ბაზას, ასწევს მუშათა ფართო მასების კულტურული ცხოვრების პირობებს, გააუმჯობესებს მათ სოციალური არსებობის და განვითარების არეს და გააღრმავებს მასში კლასობრივ შემეცნებას სოციალიზმისაკენ სვლის ენერგიას და შემოქმედებას.

ეკონომისტი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

საფრანგეთში

გაზეთების აზრი

პარიზი. 6 თებერვალი „ტან“-ი სწერს, რომ საბჭოთა დიპლომატიამ გამოიყენა იტალიასთან მოლაპარაკება იმისთვის, რომ დაეჩქარებინა საბჭოთა კავშირის ცნობა ინგლისის მიერ. ეხლა ის აყენებს ინგლისის მიერ ცნობას იტალიასთან მოსალაპარაკებლად.

საფრანგეთის პრესა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

პარიზი. 6 თებერვალი. გაზეთი „ტან“-ი აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა კავშირის და აგრეთვე გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში. საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ინტერესები არსად არ არიან დაპირისპირებული, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის და რუსეთის დელეგატები ხშირად დაიცავენ საერთო თვალსაზრისს. საფრანგეთის თანხმობა კი, დაშვებულ იქნეს გერმანია ერთა ლიგაში, დამამტკიცებელი საბუთი იქნება იმისა, რომ საფრანგეთის მთავრობას გულწრფელად სურს შეასრულოს თავისი ვალდებულებანი.

იტალიაში

ცნობის პოლიტიკური ხასიათი

ლონდონი. 6 თებერვალი. იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისათვის იტალიასთან ურთიერთობის განახლებას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა და არა ეკონომიური, რადგანაც იტალიას არ შეუძლია მისცეს საბჭოთა კავშირს ოდნავად მნიშვნელოვანი კრედიტები. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მიტომ ცდილობდა საბჭოთა კავშირის ცნობას იტალიის მიერ, რომ გავლენა მოეხდინა საფრანგეთსა და ინგლისზე, რომელთაც შეუძლიათ დიდი კრედიტების მიცემა საბჭოთა კავშირისათვის; ეხლა კი, საბჭოთა კავშირის ინგლისის მიერ ცნობის შემდეგ, იტალიის მიერ ცნობა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ამერიკაში

აუცილებელი იყო

ნიუ-იორკი 6 თებერვალი. ამერიკის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის მაგალითს მიბაძავენ დანარჩენი სახელმწიფოებიც, მაგრამ ეს არ მოახდენს გავლენას ამერიკის პოლიტიკაზე. „ნიუ იორკსან“-ი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ინგლისის მიერ აუცილებელი იყო საბჭოთა მთავრობის განმტკიცების გამო. ბრუკლინის პრესა გაკვირვებულია, რომ ამერიკის მთავრობა განაგრძობს ბრძოლას რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ, როდესაც მთელი მსოფლიო იბრძვის საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობისთვის.

პოლონეთში

პოლონეთის ახალი ელჩი მოსკოვში.

პარიზი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა სიმანმა განაცხადა, რომ პოლონეთის შრომის მინისტრი დაროვსკი ინიშნება პოლონეთის ელჩად მოსკოვში.

ჩეხო-სლოვაკიაში

ცნობის გარშემო.

პრაღა 6 თებერვალი. საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიაში ბენეშმა აზრი გამოთქვა საბჭოთა კავშირის დე-იურე ცნობის სახარგებლოდ. მაგრამ განაცხადა, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები დაუცდიან იმას, თუ რა სახეს მიიღებს ამბების განვითარება საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ ინგლისსა და იტალიის მიერ, ამავე დროს აუცილებელია პოლონეთთან შეთანხმება. შემდეგ მან აღნიშნა ჩეხო სლოვაკიის და საფრანგეთის პოლიტიკის იგივეობა ავსტრიის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის და საბჭოთა კავშირის მიმართ. ბენეშმა განაცხადა. რომ საფრანგეთ—ჩეხიის ხელშეკრულებამ არ მისცა ჩეხო-სლოვაკია ინგლისს:

სპარსეთში

დარბაზობა.

თეირანი 7 თებერვ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შუმიაცკი და ინგლისის ელჩი სპარსეთში ლორენი პირველად იყვნენ სადარბაზოთ ერთმანეთთან. ამხ. შუმიაცკიმ 5 თებერვალს ოფიციალურ დარბაზობის დროს მიულოცა ინგლისის ელჩს ნორმალურ დამოკიდებულებათა აღდგენა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. მეორე დღეს ინგლისის წარმომადგენელი ინგლისის მისიის წევრებთან ერთად სადარბაზოთ იყო ამხ. შუმიაცკისთან და სამძიმარი გამოუცხადა ლენინის გარდაცვალების გამო.

საუბარი „როსტას“ თანამშრომელთან.

მოსკოვი. 8 თებ. სპარსეთის წარმომადგენელმა მოსკოვში მოფ ხერმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის ყოველი გამარჯვება თანაგრძნობითი გამოძახილს იწვევს სპარსეთის ხალხში; საბჭოთა კავშირის ცნობას ინგლისის მიერ განსაკუთრებული თანაგრძნობით შეხვდნენ სპარსეთში. მეგობრული ურთიერთობის დამყარება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის გავლენას მოახდენს სპარსეთ-ინგლისის ურთიერთობის განმტკიცებაზე. საბჭოთა კავშირის ცნობას უსათუოდ მოჰყვება მთელი რიგი აქტებისა, რომლებიც ნათლად დაამტკიცებენ იმ აზრს, რომ ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთის ერების და, კერძოთ, სპარსეთის მიმართ, ომის წინანდელ დროსთან შედარებით, ძლიერ ფესვიანათ შეიცვალა. ვსარგებლობ შემთხვევით ერთხელ კიდევ აღვნიშნო, რომ აღმოსავლეთის ერები, კერძოთ სპარსეთი, ინგლისის პოლიტიკის ასეთ შეცვლას აღმოსავლეთის მიმართ უნდა უმადლოდენ ლენინის იდეებსა და პოლიტიკას. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ინგლისის მიერ დადებით გავლენას მოახდენს რუსეთ სპარსეთის და რუსეთ ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის გამოცოცხლებაზე.

ჯერ ჯერობით რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება კიდევ არ არის დადებული, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ხელშეკრულების დადება მოხდება არა უგვიანეს 10—15 დღისა, როდესაც გაიხსნება მეჯლისი“.

რა ხდება გერმანიაში

ამერიკის და გერმანიის ურთიერთობა.

ბერლინი 6 თებერვალი. გერმანიის მთავრობამ აცნობა გერმანიის ელჩს ვაშინგტონში ვილდფილდს არ გამოსთქვას ოფიციალური თანაგრძნობა და აგრეთვე არ მიიღოს მონაწილეობა ვილსონის დასაფლავებაში, რამაც დიდი მღელვარება გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრივ წრეებში. გერმანიის პრესა ჰკიცხავს დაუფიქრებლობას და უტაქტობას შტრეზემანის მხრივ, რომელმაც გასცა ეს განკარგულება; მხოლოდ „პრეისიშე ცაიტუნგი“ იწონებს შტრეზემანის მოქმედებას.

პარლამენტის წრეებში ეშინიათ გერმანიის და ამერიკის ურთიერთობაში სერიოზული ცვლილებების მოხდენის.

გაფიცვისათვის.

ბერლინი. 6 თებერ რეინის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო 80 კომუნისტმა, 33 სოციალ-დემოკრატმა, 8 დამოუკიდებელმა სოციალ დემოკრატმა და 28 უპარტიომ, მიემხრო ბრძოლის წარმოებას სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ; კონფერენციამ გაჰკიცხა პროფკავშირების ბიუროკრატია, რომელიც ცდილობს გათიშვის გამოწვევას პროფკავშირებში. კენჭის ყრის დროს უმრავლესობა მიემხრო გაფიცვას. ბრემენში 7,700 მელითონე წინააღმდეგ 200-სა მიემხრო გაფიცვას. ელბერფელდში 30 ათასმა ფეიქარმა წინააღმდეგ 1,700-სა ხმა მისცა გაფიცვას. დიუსელდორფში 14,000-დან მუშაობა დაიწყო მხოლოდ 2.400 მელითონემ.

სოციალ-დემოკრატების გამყიდველობა აბრკოლებს ბრძოლას, თუმცაღა რევოლიუციონური მუშები დაუღალავად განაგრძობენ მას.

ბრესლავში გაფიცულია ათას ხუთასი მუშა; მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას და 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებას.

ბავარიის ლანდტაგის გაშვების გამო.

ბერლინი. 6 თებერვალი. სახალხო პარტიასა და ნაციონალისტების ბავარიის ორგანიზაციის შორის მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვით ისინი ერთად უნდა გამოვიდნენ პლებისციტში ბავარიის ლანდტაგის გაშვების და აგრეთვე ბავარიის კონსტიტუციის შეცვლის საკითხებში.

რურში.

ბერლინი. 6 თებერვალი. საფრანგეთის ფრანკის დაცემამ დიდი აღელვება გამოიწვია საფრანგეთის ჯარებს შორის რურში. ფოვინკელში აჯანყდა 800 ფრანგი ჯარისკაცი, რომლებიც მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას. მოხდა დაპატიმრება.

მდგომარეობა ინგლისში

უმუშევრობის ზრდა.

ლონდონი. 6 თებერვალი იანვრის ბოლოს მთელს ინგლისში ითვლებოდა 1,285,000 უმუშევარი,—69,000-ით მეტი წარსულ კვირასთან შედარებით.

მუშათა მთავრობის ზომები.

ლონდონი. 6 თებერვალი. ფიქრობენ, რომ ინგლისის მთავრობა შესძლებს ახლო მომავალში სამხედრო, საზღვაო და საავიაციო უწყებათა ხარჯების შემცირებას რამოდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგის რაოდენობით და სათანადოთ შეამცირებს აქციზს შაქარზე და ჩაიზე.

მთავრობას განზრახული აქვს გაადიდოს დაბეგვრისაგან თავისუფალი მინიმალური შემოსავლის ნორმა 130-დან 200 გირ. სტერლინგამდე, რითაც გააუმჯობესებს მუშების მატერიალურ მდგომარეობას.

მაკდონალდის პერსპექტივები.

ლონდონი. 8 თებერვალი. ფიქრობენ, რომ განცხადებას მთავრობის პოლიტიკის შესახებ, რომელსაც გააკეთებს მაკდონალდი სამშაბათს თემთა პალატაში, ექნება საერთო ხასიათი და შეეხება, უმთავრესად, საგარეო საკითხებს. ბრიტანეთის პოლიტიკა იქნება ობიექტიური. საგარეო საკითხებში მთავრობას ექნება შემარიგებელი თვალსაზრისი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები, რომელნიც გადაწყვეტილი უნდა იქნენ— ეს არის საკითხები გერმანიის საკონტრიბუციო ვალების და მოკავშირეთა ურთიერთ დავალიანების შესახებ. ბრიტანეთის მთავრობა მომხრეა იმის, რომ ეს საკითხები განხილული იქნეს მეცნიერული პრინციპების საფუძველზე. ის წინააღმდეგია იმის, რომ მოკავშირეთა ურთიერთ დავალიანების საკითხი განხილული იქნეს ცალკე. ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ყველა ვალები, მათ რიცხვში რუსეთის ვალიც, შეერთებული უნდა იქნენ და მათ გარშემო უნდა შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც შესაძლებელს გახდის მოლაპარაკების დაწყებას მათ გადასაწყვეტათ. მაკდონალდი მეტათ დაინტერესებულია იმით, რომ მოხდეს შეთანხმება პოლიტიკაში, რომელიც უნდა იყოს რეალური და იდგეს მშვიდობიანობის განმტკიცების გზაზე მაგრამ, აშკარაა, რომ ამბების შემდეგი განვითარებისათვის ამ მიმართულებით, აუცილებელია დაუცადოთ ექსპერტთა ორივე კომისიის მოხსენებებს. განიარაღება არის საკითხი, რომელშიაც ბრიტანეთის მთავრობა ადგია გარკვეულ პოზიციას და ყოველგვარი მოძრაობა მსოფლიოში ამ მიმართულებით გამოიწვევს ბრიტანეთის მთავრობის წინამძღოლობას.

იაპონიის ამბები

წითელი აკრძალვა.

ვლადივოსტოკი. 7 თებერვალი. იაპონიის ხელისუფლებამ შემოიღო სასტიკი მეთვალყურეობა ყველა იმ გემებზე, რომლებიც მოდიან ვლადივოსტოკიდან დაირენიდან იაპონიაში. ჩხრეკენ ყველა მგზავრებს თვით იაპონელებსაც. სოციალისტი ხაკაგერა, რომელიც მსახურობდა მოხალისეთა საარტილერიო პოლკში, დაპატიმრებულია რევოლიუციონური პროპაგანდისათვის.

პარლამენტის არჩევნები.

ვლადივოსტოკი 7 თებერვალი. იაპონიის პარლამენტის ახალი არჩევნები მოხდება მაისის დასაწყისში.

ამერიკა და საფრანგეთი

საიდუმლო შეთანხმება საფრანგეთთან.

ლონდონი. 6 თებერვალი. პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს **ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ 1919 წელს ვილსონმა და კლემანსომ ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას,** რომლის ძალით საფრანგეთს მიეცა რეინის ოლქის ოკუპაციის უფლება. სათანადო მუხლი შემდეგ შეტანილ იქნა ვერსალის ხელშეკრულებაში. ლოიდ ჯორჯის სიტყვებით, მან ამ საიდუმლო შეთანხმების შესახებ ამ ბოლო დროს გაიგო.

ინგლისი და უნგრეთი

მაკდონალდი და უნგრეთის სოციალ დემოკრატია.

ვენა 6 თებ. ინგლისის ელჩმა ბუდაპეშტში გადასცა უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მაკდონალდის წერილი, რომელიც წარმოადგენს პასუხს პარტიის მისასალმებელ დეპეშაზე ინგლისში მუშათა მთავრობის შექმნის გამო. უნგრეთის სოციალ დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე პეიდლი და აგრეთვე უნგრეთის სოციალ-დემოკრატ ემიგრანტების ბელადი გარამი გაემგზავრენ ლონდონში. ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ უნგრეთის სოციალ დემოკრატები მოდიან მუშათა პარტიის სტუმრების სახით მთავრობის მოპატიჟებით.

სხვადასხვა

საფრანგეთი

ვენიზელოსის მემკვიდრე.

რომი. 8 თებერვალი. ვენიზელოსმა თავის მემკვიდრეთ დანიშნა იუსტიციის მინისტრი კაფანდარისი, რომელიც განაგრძობს ვენიზელოსის პოლიტიკას.

ამერიკა

სტიქიური უბედურება.

რომი. 8 თებერვალი. ტბა კროსბიმ გაარღვია ზღუდეები. წყალი შეიჭრა მაღაროებში. დაიღუპა 40 მუშა. 10 წუთის განმავლობაში წყალმა გაავსო მაღაროები.

ბელგია

რვა საათის სამუშაო დღე.

პარიზი. 6 თებერვალი. იმის გამო, რომ კანონპროექტი რვა საათის სამუშაო დღის გაუქმების შესახებ ვერ სარგებლობს პოპულიარობით ბელგიაში, ბელგიის მთავრობამ გაილაშქრა პროექტის წინააღმდეგ და წამოაყენა ახალი კანონპროექტი, რომელიც უფლებას ანიჭებს მრეწველებს მოითხოვონ მუშებისაგან 120 დამატებითი საათი ყოველწლიურად, ამ შემთხვევაში მრეწველებისათვის სავალდებულო არ არის მუშების თანხმობა.

ციხეების გამაგრება.

ბერლინი. 7 თებერვ ბელგიის მთავრობამ დაადგინა გაამაგროს ნამიურის, ანტვერპენის და ლიეჟის ციხეები.

რუმინეთი

რუსეთ-რუმინეთის კომისია.

ვენა. 6 თებერვალი. ტიგინში შეიკრიბა რუსეთ-რუმინეთის კომისია. საზღვრების საკონტროლო კომისიები დაარსდება: ხოტინში, ატაკაში, როზენში, სოროკაში და ტიგინში. კომისიები მოწვეული იქნება აგრეთვე კიშინევსა და ოდესაში. ჯერ ჯერობით მიღწეულია შეთანხმება, რომლითაც ნება დართულია თევზის ჭერა დნესტრში მხოლოდ დღით.

მილიარდერი—ყალბი ფულების მჭრელი.

ბერლინი. 8 თებერვალი. ბუქარესტიდან იტყობინებიან სენსაციურ ამბავს რუმინეთის ერთი მილიარდერ დემიტრესკუს დატუსაღების შესახებ; ის დატუსაღებული იქნა იმ დროს, როდესაც გემით გზავნიდა 8 ყუთ ყალბ ბანკნოტებს, რომელნიც დაბეჭდილი იყვნენ ერთ ერთ მის ფაბრიკაში.

დამოკიდებულება საფრანგეთთან შეწყდა.

ვენა. 6 თებერვ ინგლისის წყაროებიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის მთავრობამ შესწყვიტა დამოკიდებულება საფრანგეთთან, ინგლისთან დაახლოვების და აგრეთვე იტალიასთან ხელშეკრულების დადებისათვის სამოქმედო თავისუფლების მიღების მიზნით.

შეერთებული შტატები.

ვილსონის დასაფლავება.

ლონდონი. 7 თებერვ. რეიტერის სააგენტოს ცნობების მიხედვით, ვილსონი დასაფლავებული იქნა ოთხშაბათს უცერემონიოთ, მაგრამ განსაკუთრებული პატივისცემით; პროცესიაში მონაწილეობას იღებდა აურაცხელი ხალხი. დასაფლავების დროს

მთელი საფაჭრო-სამრეწველო მუშაობა შეჩერებული იყო მთელს ქვეყანაში.

„ნიუ-იორკ ეკსჩენჯ"-ის ცნობების თანახმად, გერმანიის საელჩოს შენობას ვაშინგტონში, მოსახლეობის ანტი-გერმანულ განწყობილების გამო, იცავს გაძლიერებული რაზმი; მოსახლეობის ასეთი განწყობილება გამოწვეულია იმით, რომ გერმანიის საელჩომ უარი სთქვა შეესრულებია ინსტრუქცია დროშის დახრის შესახებ.

მექსიკა.

ბერლინი 8 თებერვალი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ მექსიკის ფედერალურმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს ვერა-კრუცს, რასაც სთვლიან აჯანყების დასასრულად.

მეამბოხეთა დამარცხება.

ბერლინი. 7 თებერვ. ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ახლო მომავალში მეამბოხეთა მოძრაობა ჩაქრობილი იქნება. აჯანყებულებს განზრახვა აქვთ ამ დღეებში მოახდინონ ვერა-კრუცის ევაკუაცია. ცნობა ხუერტის სიკვდილის შესახებ არ მართლდება; ფიქრობენ, რომ ის გაიქცა იუკატანში.

იტალია.

სისხლიანი ფილმა.

ბერლინი. 7 თებერვ. რომში გერმანული ფილმის „ვიდრე ხვალ"-ის კინემოტოგრაფიულ გადაღების დროს 40 ლომი აღარ დაემორჩილა მხეცების მწვრთნელს და საშინელი პანიკა გამოიწვია 4.000 ფიგურანტებს შორის. იტყობინებიან, რომ ერთი მოხუცი გაგლეჯილია ლომების მიერ. მიუხედავათ პანიკისა, რომელმაც მოიცვა მთელი მასსა, გერმანელმა ოპერატორმა გულგრილად გადაიღო ეს ტრაგიკული სცენა. პოლიციამ დაატუსაღა ფილმა, რომელიც დაეხმარება სასამართლოს, გამოარკვიოს დამნაშავეები და თუ რამდენათ პასუხისმგებელი არიან ისინი ამ საქმეში. ამავე სურათის გადაღების დროს წარსულ კვირაში მწვრთნელს გაექცა ერთი დიდალი ლომი, რომელმაც საშინელი შიში გამოიწვია შემსრულებლებში. სურათის გადაღება სწარმოებდა ამერიკაში.

ბალკანეთი.

სიცივეები.

ბერლინი. 7 თებერვ. ბალკანეთზე მძვინვარებს საშინელი ქარბუქი. ათინაში 5 გრად. ყინვაა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

საბჭოთა კავშირის მთავრობის შემადგენლობა

მოსკოვი. 8 თებერვალი. ვინაიდან პრესაში შეპარა შეცდომა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს გამოქვეყნებულ შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი დამატებით იუწყება: საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კამენევი, სახელმწიფო გეგმათა სამართველოს თავმჯდომარე,—ამხ. ცურიუპა. უკრაინის საბჭ. სოც. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩუბარი, ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. რესპ. ფედერაციის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ორახელაშვილი—არიან საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა თავმჯდომარის მოადგილეები. ამხ. კამენევი და ცურიუპა ერთდაიმავე დროს არიან საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები.

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ენუქიძე.

სრულიად რუსეთის ცაკის მდივანი—ამხ. კისელოვი.

კავშირთა ცენტრალურ კომიტეტების თათბირი.

მოსკოვი. 8 თებ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ კავშირთა ცენტრალურ კომიტეტების თათბირზე მოისმინა მოხსენება ყირიმსა და კავკასიაში მუშებისათვის სანატორიუმების დათვალიერების შესახებ. ნავარაუდევია, რომ კავკასიის კურორტებზე გატარებული იქნება 2.100 მუშა. იჯარით იქნება აღებული სანატორიუმები კისლავოდსკში: „წითელი ოქტომბერი" „შახტიორი" „პეტროლოვეც", ლენინის სახელობის სანატორიუმი. პიატიგორსკში.— „კამენევის სახელობის სანატორიუმი", ჟელეზნოვოდსკში — „წითელი ჯვრის" და „ბუხარას ემირის" სანატორიუმები ესსენტუკში ორი სანატორიუმი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ კავკასიის ბიუროს შემადგენლობა.

მოსკოვი. 8 თებერვალი. დამტკიცებულია სრ. რუს. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს შემადგენლობა: თავმჯდომარეთა ამხ. სემკოვი, წევრებათ—ამხ. ყურულოვი, ლეჟავა, იაკუბოვი, რადიმოვი, ნიკიშინი, ჰაიპარიანი და ჯალილი; კანდიდატებათ: ამხ. იზმაილოვი და გორტუნი.

აგარაკები მუშებისათვის.

მოსკოვი. 8 თებერ. აგარაკების მთავარმა სამმართველომ აცნობა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს და საგუბერნიო დამზღვევ კასებს, რომ ადგილები აგარაკებზე დაეთმობა მათ თვითღირებულებაზე 10—15 პროცენტით ნაკლებ ფასებში იმ პირობით, რომ ეს ადგილები დაეთმოს მხოლოდ მუშებს.

ამერიკაში გამგზავრების შესახებ.

მოსკოვი. 8 თებერვალი. პირველად რევოლიუციის შემდეგ გამომუშავებულია საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ამერიკაში გამგზავრების ნორმა. გამგზავრება ნება დართულია 1924 წ. 1 ივლისიდან 8000 კაცისათვის.

რუს. ახ.კომკავშირის ცკას დადგენილება.

მოსკოვი 7 თებერვალი რუსეთის ახ. კომკავშირის ცკამ დაადგინა ჩაატაროს 15 თებერვლიდან 15 მარტამდის რუსეთის კომპარტიაში დაზგასთან მომუშავეების მიზიდვის კამპანია. ახ. კომკავშირის მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა გადასცეს რუსეთის კომპარტიას 2.000 ახ. კომკავშირელი მუშა.

კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუცია.

მოსკოვი. 7 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომპარტიის ლიონის ყრილობამ სწორი გზა აიღო საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ყველა საკითხებში.

წუმწუმის გატანა საზღვარ-გარეთ.

ლენინგრადი. 8 თებერვალი. ინგლისის ფირმების მოთხოვნილებით ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო წუმწუმის ტრესტმა გაგზავნა ინგლისში საბჭოთა წუმწუმის ნიმუშები. წუმწუმის ტრესტმა 12 ვაგონი წუმწუმა გაგზავნა სპარსეთში, სადაც მოთხოვნილება საბჭოთა წუმწუმზე დღითი დღე იზრდება.

წარმოების ზრდა.

ლენინგრადი 8 თებერვალი. საღებავების ტრესტმა წარსული წლის განმავლობაში გაადიდა თავის წარმოება ორნახევარჯერ. მუშების რიცხვი ერთნახევარჯერ გაიზარდა.

ყინვები.

სევასტოპოლი. 8 თებერვალი ორი კვირის განმავლობაში ყირიმის სამხრეთ ნაპირებზე არაჩვეულებრივი ყინვებია. სიცივე აღწევს 18 გრადუსს.

ქარხნის აღდგენა.

ეკატერინბურგი. 8 თებერვალი „ნიჟნე სერგიევსკის" ქარხანა ამუშავდა, რომელიც გაჩერებული იყო 3 წლის განმავლობაში.

ამხ. ლავროვის და ლეონოვის მოკვლის გამო.

მოსკოვი. 8 თებერვალი. საკავშირო დელეგაცია, რომელიც აწარმოებდა კვლევა-ძიებას კარელიის საბჭოთა რესპუბლიკის და ფინეთის საზღვარზე საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის ამხ. ლავროვის და ლეონოვის მოკვლის გამო, აღმოაჩინა მკვლელობის მთავარი მონაწილეები. დამტკიცებულია, რომ მკვლელებად იყვნენ ფინეთში გაქცეული ბელოკარელი ლიპკინი და უცნობი კარელიელი ლტოლვილი. ფინეთის დელეგაციამ სანაპირო კომიტეტში წერილობით აღიარა, რომ სტეფანე ლიპკინზე მიტანილია ეჭვი, როგორც მკვლელობაში მონაწილეზე, მაგრამ მან უარი განაცხადა საკავშირო დელეგაციის მოთხოვნაზე მკვლელების დაპატიმრების შესახებ. მხოლოდ ცოტახნის წინ ფინეთის დელეგაცია დასთანხმდა წინადადება მისცეს ფინეთის მთავრობას დაჰკითხოს ლიპკინი. ფინეთის მთავრობას ჯერჯერობით ლიპკინი არ დაუპატიმრებია.

უკრაინაში.

საუბარი საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. ჩუბართან.

მოსკოვი. 7 თებერვალი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჩუბარმა განაცხადა, რომ თუმცა მრეწველობის პროდუქციის გასაღების კრიზისმა შემოდგომაზე არ გამოიწვია მუშაობის შემცირება უკრაინის საწარმოო დაწესებულებებში, მაინც გავლენა მოახდინა ტრესტების და უკრაინის მომხმარებელ კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობაზე. „ვუკოსპილკის" მდგომარეობა ძალიან სერიოზულია და მოითხოვს სახელმწიფოს ფინანსიურ დახმარებას. კოოპერაცია ორგანიზაციის სისუსტის გამო მთლიანად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს. სამრეწველო საგნების ფასებმა ცოტათი დაიკლო, მაგრამ პურის და სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტების ფასების ზრდის წყალობით მიმდინარე წლის იანვრისათვის „მაკრატელის" პირები ერთმანეთს დაუახლოვდენ 1,9 დე მაშინ, როდესაც ოქტომბერში ეს დაახლოვება უდრიდა 4,6-ს. **სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების ფასები თანდათან იზრდება და ამავე დროს მიღებულია ზომები უკრაინის მრეწველობის პროდუქტების ფასების დასაწევად.** უკრაინის მთავრობა ცდილობს გაადიდოს სასოფლო-მეურნეობის ბანკის თანხის გადიდება და ღარიბ გლეხებისათვის სასოფლო სამეურნეო კრედიტის მიცემა, კერძოთ იარაღებით და სათესლე მასალით.

კრეშჩენის ბაზრობა.

ხარკოვი. 8 თებერვალი. უკრაინის კრეშჩენის ბაზრობაზე საქონლის ბრუნვა დღითი დღე იზრდება; 5 თებერვლისათვის ეს ბრუნვა უდრიდა 7 მილ. მანეთს.

დონის მაღაროების კოოპერაცია.

ბახმუტი. 8 თებერვალი. დონის მაღაროების კოოპერაციაში ჩაწერილია პროფკავშირთა წევრების 70 პროც. მუშათა კოოპერაციის ბრუნვა იანვარში გაიზარდა 3-ჯერ დეკემბერთან შედარებით.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი

ამხ. კამენევის სიტყვა

მოსკოვი 8 თებერვალი. მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე, რომელიც გაიმართა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად, ამხ. კამენევმა გააცნო დამსწრე ამხანაგებს ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები ილიჩის ოჯახის და ვლადიმერ ილიჩის გარდაცვლილი ძმის ალექსანდრის შესახებ. ალექსანდრე ილიჩი ჩამოახრჩვეს 1887 წ პეტროგრადში ალექსანდრე მესამეზე მოსახდენი თავდასხმისათვის შექმნილ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებისათვის. ძმის ჩამოხრჩობამ, ეჭვს გარეშეა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ვლადიმერ ილიჩზე, რომელიც იმ დროს მხოლოდ 17 წლის იყო და რომელიც ამის შემდეგ მთელი თავის არსებით ჩაება ბრძოლაში მშრომელი მასსების ინტერესებისათვის. ამხ. კამენევმა დაახასიათა მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ინტელიგენციის სულისკვეთება და აღნიშნა, რომ ლენინმა უკვე მაშინ ნაროდნიკებისაგან სრულიად განცალკევებული პოზიცია დაიკავა. ის ჯერ კიდევ მაშინ ამტკიცებდა, რომ ერთად ერთი მებრძოლი კაპიტალის წინააღმდეგ არის მუშათა კლასი. იმ სიმპატიების და ავტორიტეტის გამო, რომლითაც სარგებლობს ჩვენი პარტია და ჩვენს გამარჯვებას ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა უმადლოდეთ მუშათა კლასის ნდობას ლენინისადმი. ლენინი ყველაზე ზევით აყენებდა და ყველაზე უფრო აფასებდა პროლეტარიატის კლასობრივ ინსტინქტს. ილიჩი თავის მუშაობაში ეყრდნობოდა პროლეტარული მასსების შემოქმედებაზე. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მშრომელთა სახელმწიფოს იდეალმა, რომელიც გვიანდერძა ჩვენ ლენინმა, პრაქტიკული განსახიერება ჰპოვოს.

მარია ილიას ასულის სიტყვა.

ილიჩის დამ, მარია ილიას ასულმა ულიანოვამ, რომელსაც მთელი კრება ოვაციებით შეხვდა, გაუზიარა დამსწრეთ თავისი მოგონებები ილიჩზე. ჯერ კიდევ 90-იან წლებში ილიჩის აზროვნებაში უკვე მოწიფებული იყო გზა, რომლითაც უნდა წასულიყო რუსეთის პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი ბრძოლა.

ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვა.

ამხ. ლუნაჩარსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ლენინიზმის უდიდესი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ზუსტად შეაფასა მუშების და გლეხების კავშირის კოლოსალური მნიშვნელობა ოპორტუნიზმთან შეურიგებელ ბრძოლაში და აგრეთვე ამ ბრძოლის მსოფლიო ასპარეზზე გადატანაში. ამხ. ლუნაჩარსკი ხაზს უსვამს, რომ ჩვენი ცნობა იურიდიულათ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ არის ლენინის მთელი წარსული მოღვაწეობის და კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის განსაცვიფრებელი უნარის შედეგი.

კლარა ცეტკინის სიტყვა

კლარა ცეტკინ, რომელსაც დიდი ოვაციებით შეხვდენ, აღნიშნავს, რომ ლენინი მთელი თავისი არსებით შეზრდილი იყო მუშათა კლასთან. ის გახდა რევოლიუციის უდიდესი მუშა, მსოფლიო პროლეტარიატის ბასრი ხმალი. ლენინი მოკვდა, მაგრამ მის მიერ დანთებული ცეცხლი ახლაც ათბობს მსოფლიოს ყველა პროლეტარებს.

საბჭოს დადგენილება

მოსკოვის საბჭოს პლენუმი ადგენს: დატოვებული იქნეს სამუდამოთ ლენინი მოსკოვის საბჭოს წევრთა სიაში, როგორც მოსკოვის მშრომელთა დეპუტატი, და 2) ლენინის საწევრო ბილეთის № 1-ლი არ გამოეწეროს საბჭოს სხვა წევრს.

ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად მშრომელთა შორის, მოსკოვის საბჭო ადგენს: 1) მოსკოვის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში, კლუბებში, სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებში, რაიონულ საბჭოებში და სხვა დაწესებულებებში გამოკრული იქნას დაფები ამონაწერებით ლენინის სიტყვებიდან და ნაწერებიდან, 2) დაარსდეს მოსკოვის მთლიანი ფონდი ილიჩის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

ყოველ კუთხიდან.

მოსკოვი. 8 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები რუსეთის კომპარტიაში მუშების შესვლის შესახებ. ეკატერინოსლავში რკინის გზის სახელოსნოს 1.600 მუშიდან პარტიაში ჩაეწერა 800 კაცი. დონის ოლქში 6 თებერვლამდე პარტიაში ჩაეწერა 8000 მუშა; სარატოვში უკანასკნელ დღეებში ჩაეწერა კომპარტიაში 600 მუშა. იჟევსკში—3 000 ზე მეტი, რიაზანში 60 ზე მეტი. იაროსლავში—200 მუშა; ყაზანში—ყაზანის უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის 150 მსმენელი, მინსკში—150 ზე მეტი მუშა; იარცევის ფაბრიკაში—200.

სევასტოპოლი. 8 თებერვალი. მუშათა კორესპონდენტების ორგანიზაციამ დაადგინა მთლიანად ჩაეწეროს პარტიაში.

ვოლოგდა. 8 თებერვალი. კორობოვის თემში 19 გლეხმა შეიტანა განცხადება რუს. კომპარტიაში შესვლის შესახებ.

ლენინგრადი. 8 თებერვალი. 5 თებერვლისათვის შემოვიდა 3.000 განცხადება რუს. კომპარტიაში ჩაწერის შესახებ. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში სულ შემოტანილია 18 000-ზე მეტი ასეთი განცხადება.

მოსკოვი. 8 თებერვალი. მოსკოვში და მოსკოვის გუბერნიაში 7 თებერვლამდის შეტანილია 17 139 მუშის განცხადება რ. კ. პ. შესვლის შესახებ.

ვერხნეუდინსკი. 8 თებერვალი. ადგილობრივ მილიციონერთა კავშირმა დაადგინა მთელი შემადგენლობით შევიდეს რუსეთის კომპარტიაში.

იაროსლავლი. 8 თებერვალი „წითელ პერეკოპის" 8 000 მუშების საერთო კრებამ გადასცა პარტიას 194 კაცი რომელნიც, რევოლიუციისათვის ყველაზე უფრო თავდადებულ მებრძოლებათ ითვლებიან.

ცარიცინი. 8 თებერვალი. მუშათა რიცხვი, რომელთაც განცხადება შეიტანეს პარტიაში შესვლის შესახებ, აღწევს 300 კაცს.

ოდესა. 8 თებერვალი. რუსეთის კომპარტიის საერთო საქალაქო კონფერენცია საგუბერნიო კომიტეტის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნავს თვალსაჩინო მიღწევებს პარტიაში პროლეტარულ ელემენტების შემოსვლის საქმეში.

შემცდარი ნაბიჯები

„პრავდა"-ს წერილი.

მოსკოვი. 8 თებ. „პრავდა"-ში ასეთი სათაურით დაბეჭდილია შემდეგი შინაარსის წერილი: „ინგლისის მუშათა პარტიას" მძიმე პასუხისმგებლობა აწევს მუშათა კლასის წინაშე. სამწუხაროდ ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე 2 ინტერნაციონალის მმართველი პარტია დაადგა ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ, მუშათა კლასისათვის საშიშ გზას. აღნიშნავს რა ინგლისის პოლიტიკის კოლონიალურ პრობლემის მნიშვნელობას, „პრავდა" ამბობს: „თუ ინგლისის მუშათა პარტიას აქვს მცირეოდენი სურვილი გადააქციოს იმპერიალისტური ბრიტანეთის იმპერია მის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერების მშრომელთა მძლავრ კავშირად, მან უნდა აწარმოოს გაბედული ბრძოლა ყველა ჩაგრულ ერების ნდობის მოპოვებისათვის და აღმოფხვრას ყოველგვარი დაცინვა და ჩაგვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერიალისტურ რეჟიმის დროს. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი პოლიტიკა ირლანდიის მიმართ. ასეთი პოლიტიკის გარეშე ინგლისის მუშათა კლასის საქმე დაღუპულია. შეხედეთ ეხლა, რას ამბობს ამის გამო ახალ „მუშათა" მთავრობის მეთაური მაკდონალდი: „შემიძლია ვსთქვა, რომ ინდოეთის მიმართ მიღებული იქნება დაუზოგავი ზომები, თუ იგი გახდება კონსტიტუციონალიზმსა და რევოლიუციის შორის ბრძოლის ასპარეზად. დიდი ბრიტანეთის არც ერთი პარტია არ შეუშინდება მუქარას და არ გაჰყვება ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელ-ფეხს შეუკრავს მთავრობას. თუ ინდოეთის ზოგიერთი წრეები იმყოფებიან ასეთ ყალბ შთაბეჭდილების ქვეშ, მომხდარი ამბები მათ იმედებს გააცრუებს.

ეს უკვე მუქარაა ინდოეთის რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ეს ძალიან ცუდი მიდგომაა იმ საკითხისადმი, რომელიც ყველაზე მტკივნეულია ინგლისის პოლიტიკაში. მეორე შეცდომა, რომლითაც მაკდონალდი სოლიდარულია ინგლისის იმპერიალისტებთან, არის საკითხი რუსეთის ვალების შესახებ. ჯერ კიდევ დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც მაკდონალდი იმ მუშების ზეგავლენით, რომლებიც აღშფოთებული იყვნენ ინგლისის იმპერიალისტების საქციელით, აკრიტიკებდა ლენინს ვალების გადახდაზე პრინციპიალურად თანხმობის განცხადებისათვის, ეხლა კი ის თვითონ ლაპარაკობს ვალების შესახებ.

განა ასე ამაღლებენ თავის ავტორიტეტს, განა ასე შეიძლება მშრომელთა ნდობის მოპოვება?

ასე პოულობენ ნდობას იმპერიალისტები. ასე იტეხენ სახელს მუშათა კლასის თვალში. ინგლისის იმპერიალისტები ეთამაშებიან მუშათა პარტიას. მათ სურთ პოლიტიკურად მოსპონ ეს პარტია, სურთ გახადონ იგი ბრიტანეთის იმპერიალიზმის მაჩანჩალად. ეს უნდა იქონიოს მხედველობაში ინგლისის მუშათა პარტიამ, ამაზე უნდა მიუთითონ მას ინგლისელმა კომუნისტებმა."

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

მეკობრეთა დატუსაღება.

ბათომი. 8 თებერვალი. სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობის სანაპირო რაზმმა დაატუსაღა მეკობართა ბანდა, რომელიც მოქმედებდა სწრაფმავალი მოტორიანი ხომალდით ბათომ ნოვოროსიისკს შორის. გემზე აღმოაჩინეს დიდძალი ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები.

აზერბეჯანი

ტრამვაის მოძრაობის გახსნის გამო.

ბაქო. ბაქოს საბჭოს თავმჯდომარეს კოკუშკინს, ახალი ტრამვაის კომიტეტის თავმჯდომარეს—პარუშინს 7 თებერვალი.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი ულოცავს ბაქოს პროლეტარიატს ტრამვაის აშენების წარჩინებულად დასრულებას, საბჭოთა ხელისუფლების ახალ მშვიდობიან მონაპოვარს ქალაქში, რომელიც ჩვენი მტრების ბატონობის დროს იყო ნგრევის და ხოცვა ჟლეტის ასპარეზი. ამიერ-კავკასიის ცაკი გულითად მადლობას გიცხადებთ თქვენ და ყველა მუშაკებს განსაკუთრებულ შრომისათვის მშრომელ მასსების სასარგებლოთ ამიერ-კავკასიის პროლეტარულ ცენტრში.

ამიერ კავკასიის ცაკის თავმჯდომარე **აგამალი ოღლი.**

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივნის მაგიერ ა. შავერდოვი.

დაშნაკციუტუნის ლიკვიდაცია

ყოფილ დაშნაკელების ლიკვიდაცია

ბაქო. 6 თებერ. „ბაკინსკი რაბოჩის" დღევანდელ ნომერში აზერბეიჯანის ყოფილ დაშნაკელების საინიციატივო ჯგუფი ათავსებს შემდეგ განცხადებას: „ვესალმებით რა სომხეთის ყოფ. დაშნაკელ ახალგაზრდობის ყრილობას, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყრილობა გამოიტანს დაუზოგავ, მკაცრ განაჩენს დაშნაკციუტუნის წვრილ ბურჟუაზიულ პარტიის წინააღმდეგ. თავის არსებობის რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ეს პარტია არა ერთხელ ამტკიცებდა, რომ იგი მხოლოდ სიტყვით იყო სოციალისტური და რევოლიუციონური, საქმით კი იგი ყოველთვის ამჟღავნებდა თავის სახეს, როგორც გათახსირებული შოვინისტური და ოპორტიუნისტური პარტია. დაივიწყეს რა პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის კლასიური ინტერესები, დაშნაკციუტუნის ხელმძღვანელებმა თავიანთი უპასუხისმგებლო გაიძვერა პოლიტიკით პარტიის სოციალისტურად და რევოლიუციონურად მოაზროვნე უბრალო წევრთა სურვილის წინააღმდეგ წაიყვანეს სომხების მშრომელი ფართო მასსები სისხლის მღვრელ ავანტიურების და აუწერელ უბედურებათა გზით. თავის გამცემლურ და გაიძვერა მოღვაწეობით პარტიის ხელმძღვანელი წრეები, რომლებიც თითქმის 100 პროც. შეადგენდენ უბადრუკ კარიერისტები და ავანტიურისტები, პირველ რიგში უმთავრესად იყენებდენ გამოუცდელ პარტიულ ახალგაზრდობას, რომელიც მათ შეიტყუეს პარტიაში პროგრამაში „სოციალისტურ" პრინციპების შეტანით და დაშნაკციუტუნის რევოლიუციონურად მონათვლით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოფილი დაშნაკელი ახალგაზრდობა ღირსეულად შეაფასებს დაშნაკციუტუნის საზიზღარ მოღვაწეობას, საბოლოოდ გასწყვეტს კავშირს მის მეშჩანურ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რომ იგი შეითვისებს რევოლიუციონურ კომუნიზმის თეორიას, დაადგება დაუზოგავ რევოლიუციონურ კლასთა ბრძოლის სწორ გზას, რომ იგი ჩადგება ახკომკავშირის რიგებში, თავის ყოველდღიურ მუშაობაში სახელოვან კომპარტიის ხელმძღვანელობით გამოიჩენს დაუშრეტელ ენერგიას, შეურყეველ ერთგულებას და უსაზღვრო სიყვარულს პროლეტარიატის და ღარიბ გლეხების ინტერესებისადმი.

ყველა ჩვენ ამ ჟამად გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდით. მსოფლიო რევოლიუციონურ კომუნისტურ მოძრაობის დიდი წინამძღოლის—ლენინის გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება მიაყენა მთელი მსოფლიოს მშრომელ კლასს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებს. სამუდამოდ მოგვშორდა ჩვენ გენიალური წინამძღოლი, დაუღალავი მებრძოლი და ბრძენი მასწავლებელი. მაგრამ საუკუნოთ დარჩა ჩვენთვის მისი რევოლიუციონური კომუნისტური აღთქმანი, რომლებსაც სახელად ჰქვია—ლენინიზმი. ამიერიდან მსოფლიოს მუშათა მოძრაობა მრავალ ათეულ წლობით წავა ლენინიზმის უკვდავ ლოზუნგის ქვეშ. ლენინიზმის გულმოდგინეთ შესწავლა, სისწორით გაგება, მისი მტკიცეთ შეთვისება და განვდა ბოლომდის—აი ჩვენი უპირველესი ამოცანა. ლენინის ბრწყინვალი და მაღალი აღთქმების ცხოვრებაში გატარება ლენინიზმის პრინციპების დაკავშირება ცოცხალი სინამდვილის პრაქტიკასთან—ასეთია შემდეგი, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა რომლის განხორციელებას ჩვენ უნდა შევსწიროთ მთელი ჩვენი ძალღონე".

ახალგაზრდა ყოფილ დაშნაკელების ყრილობა

ერევანი. 7 თებერ. ყოფილ ახალგაზრდა დაშნაკელების ყრილობის მეორე სხდომაზე დადგენილია გაეგზავნოს ახალგაზრდობის კომინტერნის მდივანს ამხ მილერს და რუსეთის ახკომკავშირის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ჩაპლინს შემდეგი დეპეშა:

„სრულიად სომხეთის ყოფილ ახალგაზრდა დაშნაკელების ყრილობა აცხადებს რა დაშნაკციუტუნის ლიკვიდაციას სტოვებს თავის ყოფილ პარტიის ორგანოებს, რომლებიც გადაიქცენ ფაშიზმის დამქაშებათ და გადადის რა რევოლიუციის და შრომის განთავისუფლების ბანაკში, სცდილობს შემატოს თავის ახალგაზრდული ძალები პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა რიგებს.

ყრილობა ესალმება თქვენი სახით რევოლიუციონურ ახალგაზრდობას და პროლეტარულ ბრძოლის ავანგარდის ახალგაზრდა წინამძღოლებს. გაუმარჯოს საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობას! გაუმარჯოს მის წინამძღოლებს! გაუმარჯოს კომინტერნ!"

საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ მარკარიანმა ინფორმაციის წესით გააკეთა მოხსენება ბიუროს მოქმედების შესახებ. სომხეთში დაშნაკელების ბატონობის დროს პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის ნამდვილ წევრთა რიცხვი უდრიდა 365 კაცს, აქედან ერევნის მაზრაზე მოდიოდა 120, ეჩმიაძინის მაზრაზე—115, ახალბაიაზეთის მაზრაზე—40, კარაკლისის მაზ.—15, ლენინაკანის მაზრაზე—70, დილიჟანის მაზ.—5; ამ საერთო რიცხვიდან პარტიის რიგები მიატოვა 274 კაცმა. დარჩენილ 91 კაციდან—ნაწილი იმყოფება საზღვარ-გარეთ, ნაწილი შევიდა ახკომკავშირში, რამდენიმე კაცი გარდაიცვალა. ამგვარად დარჩა სულ რამდენიმე კაცი, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ ჩამოუყალიბებიათ თავიანთი შეხედულება.

დაშნაკციუტუნის პარტიიდან გასულ ახალგაზრდობის სოციალურ შემადგენლობის შესახებ შეკრებილი ანკეტა ამტკიცებს, რომ მათ შორის 215 გლეხია. წერა-კითხვის უცოდინარია მხოლოდ 2, 187 აქვთ მიღებული საშუალო განათლება.

შეკითხვების და კამათის შემდეგ მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია.

„მოისმინა რა ამხ. მარკარიანის მოხსენება საინიციატივო ბიუროს მოქმედების შესახებ, ყოფ. ახალგაზრდა დაშნაკელების სრულიად სომხეთის მეორე ყრილობა ფიქრობს რომ ახალგაზრდობის დიდმა უმრავლესობამ გარკვეულად ჩამოაყალიბა გარდატეხა თავის შეხედულებებში: პარტიიდან გასულთა სოციალური მდგომარეობა უმთავრესად გლეხურია. მაშასადამე, ფრიად სასიამოვნოა ჩვენი მომავალი მოქმედების თვალსაზრისით, რომ ბიუროს მუშაობა გავრცელდა ფართე წრეში. ყრილობა სთვლის ბიუროს მუშაობას დამაკმაყოფილებლად და უცხადებს მას ამხანაგურ მადლობას მის მიერ შესრულებულ მუშაობისათვის.

3 ე და 4 ე სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენება „ნაციონალური საკითხი და დაშნაკციუტუნი". მოხსენების გამო რეზოლიუციის მიღება გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

4 ე სხდომა მოუნდა ამხ ფოიანის მოხსენების განხილვას დაშნაკციუტუნის ისტორიის შესახებ.

გემ „კონეჯოს" დაღუპვის დაწვრილებითი ცნობები

(გემზე გადარჩენილ მეზღვაურის ილმანის ნაამბობი)

მე-2 მექანიკოსი ილმანი მსახურებდა გემ „ირაკლიზე", რომელიც დიდ ღელვის დროს ზღვაზე იყო და მიემგზავრებოდა ოდესიდან ფოთისაკენ. ამავე დროს ზღვაზე იყო ფოთიდან გამოსული ამერიკული გემი „კონეჯო", რომელიც მარგანეცით იყო დატვირთული და მიემგზავრებოდა საზღვარგარეთისაკენ.

28 დეკემბერს, დილის 3 საათზე, გემი „კონეჯო" რადიოთი ითხოვდა დახმარებას. გემი „ირაკლი" გაემართა მისაშველებლად, მაგრამ საშინელ ღელვის გამო ახლო მისვლა ძნელი იყო. იმავე დროს ზღვაზე იყო ქარიშხალი და ერთ არშინის მანძილზე არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. დიდი წვალებით „ირაკლი" მიუახლოვდა „კონეჯოს". უკანასკნელი ითხოვდა დახმარებას მეზღვაურებს და განსაკუთრებით მემანქანეს, რომლებიც გემს დაზიანებისთანავე გადაცვენილიყვნენ ზღვაში.

დაზიანების დროს, „კონეჯო" დაშორებული იყო ნაპირებს 40 კილომეტრით და გემი „ირაკლიც" შორს იყო. „ირაკლიც" შეეცადა „კონეჯოსათვის" მეზღვაურების მოწოდებას, რადგან უკანასკნელის კაპიტანი გემს არ ტოვებდა, იმედი ჰქონდა გემის მახლობელ ნავთსადგურში მიყვანის., კაპიტანმა პასუხი ვერც ტრაპიზონიდან და ვერც სხვა ნავთსადგურებიდან მიიღო, ამიტომ გემი მოაბრუნა და გასწია ფოთისაკენ. გემმა გასძლო ზღვაზე 28 დეკემბრის ნაშუადღევის 3—4 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში მან გაიარა 20 კილომეტრი და ფოთის ნაპირებამდე იყო სულ 20 კილომეტრი.

ამ დროს გემზე იყო სულ 5 მეზღვაური: კაპიტანი, მისი თანაშემწე ექიმი, რადიო ტელეგრაფისტი და ამ ამბის მთხრობელი. გემი დაიღუპა ცუდათ დატვირთვის გამო. მარგანეცი ჩატვირთული იყო ტრიუმში, ისე რომ ტრიუმი არ იყო დაყოფილი კედლებით, რის გამო ღელვის დროს მარგანეცი ხან ერთ მხარეს აწყდებოდა და ხან მეორეს. 28 დეკემბერს, დილის 3 საათზე, მარგანეცმა გამოტეხა ბორტის რამოდენიმე რკინის ფიცარი და წყალი შევიდა ტრიუმში. მაშინვე გადაცვივდენ მეზღვაურნი თავსაშველად წყალში. იმავე დროს ნაშუადღევის 3—4 საათის წყალი შევიდა სამანქანო განყოფილებაში. მაშინ კაპიტანი, რომელიც რევოლვერით ადგა თავზე მემანქანეს, დარწმუნდა რა, რომ გემის გადარჩენა შეუძლებელი იყო და დადგა უკანასკნელი წუთები, ჭკუაზე შეირყა და იქვე თავი მოიკლა. გემის ბაქანზე უკვე არავინ იყო. ის ჩქარა იძირებოდა. გემი „ირაკლი" კიდევ დილას დაცილდა „კონეჯოს" და შემდეგ არავისაგან არაფერი აღარ სმენია უკანასკნელს. ილმანს კარგათ არ ახსოვს რამდენხანს იყო წყალში. მისი აზრით 2—3 კილომეტრს სცურავდა, შემდეგ გრძნობა დაკარგა და მეორე დღეს 29 თებერვალს დილის 2—3 საათზე ზღვამ გამორიყა იგი ნაპირზე. ილმანს ჯერ ეგონა ოსმალეთი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იყო ფოთის მახლობლად 25—30 კილომეტრის მანძილზე. იქ მონადირეთა თუ მეთევზეთა ქოხში იგი იწვა იანვრის 29 მდე. მას ზელდენ ძმით, ასმევდენ ღვინოს და დიდის გაჭირვებით მოიყვანეს გრძნობაზე. მთელი კვირის განმავლობაში ხელიდან ვერ გამოგლიჯეს ბალიში, რომლითაც გადავარდა წყალში. იქიდან ილმანი ჩავიდა ფეხით ფოთში და ეძებდა თავის გემს „ირაკლის", რომელიც ამ ხანად უკვე დაბრუნებულიყო საზღვარგარეთ. ფოთში მას უთხრეს, რომ „ირაკლი" ბათომშია. ილმანი ჩამოვიდა გემით ბათომში, მაგრამ არც აქ დახვდა გემი. ამ ჟამად ილმანი ავადმყოფია და წევს ბათომის ქალაქის 1 საავადმყოფოში. მას ხშირად ემართება ეპილეფსიური დამბლა, ფეხები ჯერაც ა მუშაობს კარგად.

ილმანი ეროვნებით შვედია და ლაპარაკობს მხოლოდ სკანდინავიურ ენებზე.

მოლოცვა

ტასო აბაშიძის საიუბილეო კომიტეტისა

ჩვენი სცენის დიდებათა—ვასო აბაშიძისა და მარიამ საფაროვ აბაშიძის ასული ტასო 25 წელიწადია, რაც ამშვენებს ქართულ თეატრს. მისი მოქიაფე ნიჭი, ცხოველი, რაკრაკა ტემპერამენტი, მის მიერ გაპიროვნებული სახეები აუარებელი სხვადასხვა როლისა ყველას თვალწინ გვიდგას; როზა, ნუცა, რაუტენდელეინ, კატრინ, ოფელია, დორინ, ტუანეტა, როზინა, გაიანე, ისმენე, ლიზა, ლილი, ლუიზა, ფაიხოშ, ავთანდილ, ჰანელე, თინათინ, ცირა, პასკვალა, პრიკოლა, ბეტინა და მრავალი სხვა არიან ძვირფასი საჩუქრები ტასოსი ქართველი ხალხისადმი მიძღვნილი ამ 25 წლის განმავლობაში.

ყველამ იცის როლი და მნიშვნელობა ქართული თეატრისა, როგორც წარსულში, აგრეთვე აწმყოში და სხვათა თავდადებასა და ღვაწლთან ერთად უეჭველად აღსანიშნავია და უხვი ჯილდოს ღირსი ტასო აბაშიძის შემოქმედება.

საქართველოს მსახიობთა კულტურული კავშირის საბჭო და ტასო აბაშიძის საიუბილეო კომიტეტი ამით მოუწოდებენ მთლად საქართველოს, რათა შესაფერისი ზეიმით იქნეს აღნიშნული ტასოს 25 წლის სასცენო მოღვაწეობის საიუბილეო დღე: კვირა, 10 თებერვალი 1924 წლისა.

დარწმუნებული ვართ: როგორც საქართველოს ყველა თეატრები და სახელოვნო და კულტურული დაწესებულებანი, ისე ჩვენი შორეული და ახლობელი მეზობლები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ დღესასწაულში, რისთვისაც საიუბილეო კომიტეტი სთხოვს ყველას წინასწარ აცნობონ ამავე კომიტეტს—ტფილისში, რუსთაველის თეატრში თავიანთი მონაწილეობის შესახებ.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე: განათლების სახალხო კომისარი—თავმჯდომარე მთავარ სახელოვნო კომიტეტისა

დავით კანდელაკი.

მსახიობთა კულტურული კავშირის და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე: აკაკი ფაღავა.

წევრნი: (ანბანის რიგით) ნინო ამირეჯიბისა, ხოლ. ახვლედიანი, ალ. ახმეტელი, კ. ანდრონიკაშვილი, ან. აბელიშვილისა, გრ. აბესაშვილი, ი. ალიხანიანი, შალვა აფხაიძე, ბ. ბიბინეიშვილი, ივ. გომართელი, ა. გომართელისა, ი. გრიშაშვილი, შალვა დადიანი, ალ. დარახველიძე, ივ ვარაზაშვილი, ილია ზურაბიშვილი, ივ თურქია, პავლო იაშვილი, ვ. კილოსანიძე, ი. ლორთქიფანიძე, მირზა-დაუდ რახულ ზადე, არჩილ მიქაძე, ეფემია მესხი, გა მესხი, კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, გრ. რობაქიძე, ვლ ზუ ბიშვილი, ვ ხარაძიშვილი, ვლ. ხვ მონიშვილი, ვ ხიდამონ ერისთავი ტიციან ტაბიძე, ალ. ტუკანოვი, ფალიაშვილი, ზ. ფალიაშვილი, ქორელი, დეო ქაჩელი, გ. უუ შვილი, დათ. ჩხეიძე.

მდივანი გ. ჟღენტი.

ქ ტფილისი.

1924 წ იანვრის 12

კაპიტანი, რომელიც რევოლვერით ადგა თავზე მემანქანეს — see above.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს საბჭოთა პარტიულ სკოლების თათბირისათვის

საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილების თანახმად, ა.-წ. 15 თებერვლისათვის მოწვეულია საქართველოს საბჭოთა პარტიულ სკოლების პირველი თათბირი ეს გამოწვეულია მთელ რიგ მომწიფებულ საკითხებით.

ჩვენში საბჭოთა პარტიული სკოლები ჯერ კიდევ ახალი საქმეა. ჩვენ არ გვაქვს იმდენი გამოცდილება, რამდენიც აქვთ რუსეთის საბჭოთა პარტიულ სკოლებს; ეს სკოლები 5—6 წელიწადია რაც მოქმედებენ პირველი პარტიული სკოლა ჩვენ გავხსენით 1921 წ. ტფილისში; ეს სკოლა ეხლა გადაიქცა ცენტრალურ პარტიულ სკოლათ 2 წლიან კურსით. მიღებული იყო აგრეთვე ზომები 1-ლი საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლების გახსნისათვის მაზრებში, მაგრამ ჩვენ აქ გხვდებოდა დაბრკოლებათა მთელი რიგი: ლექტორთა საკმაო რიცხვის არყოლა, საშუალებების უქონლობა და სხვა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ შეგვექმნა 1923 წ. ბოლოს თვის საქართველოს მაზრებში 8 საბჭოთა პარტიული სკოლა. ასეთი სკოლები მოწყობილია ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, ოზურგეთში, ცხინვალში, გორში, ჭიათურაში და სიღნაღში. ეხლა ეწყობა მეცხრე საბჭოთა პარტიული სკოლა ბორჩალოში. ამას გარდა ტფილისში არის მთელი რიგი რაიონული პარტიული სკოლები და აგრეთვე ზემოაღნიშნული ცენტრალური პარტიული სკოლა. არსებული ცნობები შემდეგ სურათს იძლევიან. საბჭოთა პარტიულ სკოლებში მეცადინეობენ

ბათომის სკოლ. . .	90	კურსანტი.
ქუთაისის „ . .	77	„
გორის „ . .	44	„
ოზურგეთის „ . .	44	„
სამხ. ოსეთ. „ . .	50	„
ჭიათურის „ . .	33	„
სიღნაღის „ . .	60	„
სოხუმის „ . .	46	„
ცენტრ. პარ სკოლ.	83	„
სულ .	526	„

ამრიგათ საქართველოში ჩვე გვყავს 500 მეტი კურსანტი, რო მელნიც სწავლობენ 9 საბჭოთა პარ ტიულ სკოლაში. ეს არ არის მცირ რიცხვი საქართველოსთვის მაგრა ამავე დროს ჩვენ ვამჩნევთ მთელ რიგ დეფექტებს სკოლების და კურ სანტების შინაურ ცხოვრებაში, ლე ქტორთა შემადგენლობაში, პოლი ტიკურ განმანათლებელ და პარ ტიულ მუშაობაში. საჭიროა აგრეთვ მოგვარებული იქნეს საბიბლიოტეკ და საკლუბო მუშაობა.

აქნამდის ჩვენს საბჭოთა პარტიულ სკოლებს თითქმის სრულებით არ ჰქონდათ ბიბლიოტეკები. და თუ იყვნენ ასეთები,—ამ ბიბლიოტეკებში თითქმის სრულიად არ ყოფილა წიგნები ქართულ ენაზე. ეხლა ეს ნაკლი გამოსწორებულია წიგნების შესყიდვით ყველა საბჭოთა პარტიულ სკოლებისათვის. საკითხი საბჭოთა პარტიულ სკოლების პროგრამის შესახებ თათბირმა უნდა დასვას შემდეგი ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა პარტიული სკოლების ეს პირველი თათბირი ვერ შესძლებს გადასწყვიტოს ყველა ის საკითხები, რომლებიც მის წინაშე სდგანან; მაგრამ ის მაინც დიდ როლს ითამაშებს საბჭოთა პარტიულ სკოლების აღმშენებლობის სწორი გზით მიმართვის საქმეში. თათბირის დელეგატები გაუზიარებენ ერთმანეთს თავის გამოცდილებას და გამოიმუშავებენ შემდეგი მუშაობის გეგმას.

ქ. ორაგველიძე.

ტფ. აღმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედში

4 იანვარს პირველად შესდგა უჯრედის სხდომა სამგლოვიარო დღეების შემდეგ. უჯრედის ერთ კუთხეს ამშვენებდა რევოლიუციის დიდი ბელადის ამხ. ლენინის სურათები სამგლოვიაროთ მორთული და ამ კუთხის ორივე მხრივ კედლებზე აკრულებული იყო სხვადასხვა ლოზუნგები.

უჯრედი კრების გახსნის დროს ფეხზე ადგომით პატივს სცემს დაკარგული ბელადის ხსოვნას, რის შემდეგაც ამხ. ხომერიკი აკეთებს მოხსენებას ლენინის ანდერძის შესახებ და ახასიათებს ლენინის პიროვნებას, მის ღვაწლს საერთაშორისო პროლეტარიატის და კერძოთ ახალგაზრდობის მიმართ მიუთითებს ახალგაზრდობას მის ანდერძზე და მოუწოდებს ამხანაგებს ლენინიზმის შესწავლისაკენ, მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ტფ. აღმასკომის უჯრედის წევრები გამოვსთქვამთ ჩვენს ულრმეს მწუხარებას, უერთებ რა ჩვენს ხმას მსოფლიო პროლეტარიატს, ჩვენი საყვარელი და უძლეველი ბელადის ვ. ი. ლენინის დაკარგვის გამო. ამავე დროს ფიცს ვსდებთ რომ ჩვენს უსაყვარლეს ბელადს აუგებთ საუკეთესო ძეგლს ლენინიზმის დროშით ხელში მსოფლიო კაპიტალზე გამარჯვების სახით. თუმცა აღარ არის ლენინი, მაგრამ არის ლენინიზმი,—გზა მიმავალი კომუნიზმისაკენ, არის მისი საყვარელი წრე კომუნისტური პარტია და მისი ავანგარდი და რეზერვი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა კომკავშირის სახით, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ლენინის მოძღვრების ცხოვრებაში გასატარებლად".

ნ. ხალვაშვილი.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

ალრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1924 წ. 8 თებერვლისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ ალრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის ქვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 8 თებერვლისათვის განისაზღვრება — 3 570.000 000 მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება — 357.000.000 მან.

საქ. შრომის სახალხო კომისარი — ა. მიქაძე

საქმეთა მმართველი — დ. ქურდოვანიძე

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(9 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	1.950,000 ათ
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.	1.825,000
ჩეკები	— 1.765.000
დოლარი ეფექ.	— 431 —
ჩეკები	— 400 —
ოსმ. ქაღ. ლირა	— 263 ნახ. —
იტალიური ლირა	— 18 —
ფრანგული ფრანკი	— 19 —
საბჭ. ფულის ნიშნები	— 16 ნახ.

ქუთაისის ფასები.

(8 თებერვალი).

პური 1 ხარ 12,000, პური 2 ხ. 9000, ძროხის ხორცი — 40000 ათ. ღორის ხორცი — 36000 ათ. შაქარი რაფინადი 84 600 ათ. ფხვნილი შაქარი — 54,520 ათასი, კარტოფილი — 3000 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(8 თებერვალი)

პური 1 ხ. — 15000 ათ., პური 2 ხარ. — 12000, ძროხის ხორცი 50000 ათ. ღორის ხორცი 50000 ათ., შაქარი რაფინ. 86000 ათ., შაქარი ფხვნილი 56,000 ათ., კარტოფილი 4500 ათ.

ბირჟის მიწოდება

„ცენტროსოიუზ“-ის ჩაი და ცეილონის, სახურავი რკინა (ინგლისური), „ურალმეტ“-ის პროდუქცია (სასოფლო-სამეურნეო იარალი, გასაყრელები, ნაჯახები, მავთული, რელსები, მილები და სხვა რკინეულობა), აბრეშუმი ნედლი, ნაწლევები 15,000 კონა), სპილენძი ფურცლოვანი, როსტოვის პაპიროსები, ტყავის ლიდები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, კვებრახის ექსტრაქტი, შვეიცარული ყველი, რუსული მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიკური სოდა, ასანთი რუს. სახ. მეურ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.). (ცემენტი და ეტერნიტი, ქვა-მარილი ნახ., სალომასი, ერევნის მატყლი (გარეცხილი) სადურგლო წიბო, ქანაქანა, გიგროსკოპიული ბამბა, შპრიცები, პლატინის ნემსები, ფანქარი (შავი, ქიმიური და ფერადი), პაპიროსის ქაღალდი ყავა „მოკკო“, ტომრები „კალკუტა“, ამიაკი (ნიშადური), შაბიამანი, თბილი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, შაბიამანი, რუს. მანუფაქტურა, ყუბანის ფქვილი, ტექნიკური ცხიმი, ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინ. და ფხვნილი რუს., სალომასი, მზესუმზირას ზეთი რუს., პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი საკონდიტერო, ჩაი, ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩევ., რკინეულობა.

ოფიციალური გარიგებანი.

ქვა-მარილი ნახიჩ. — 61 კ. ფ. ფრანკო სადგ. ტფილისი.

ქლიბი — 11 კაპ. და 14,3 კ. დიუიმში, ფრანკო ტფილისი.

პორტლანდის ცემენტი — 10 მან. ბოჭკაში, ფრანკო ჭიათურა ვაგონი და 9 მ. 25 კ. — ფრანკო ვაგონი — ბათომი.

მოტორი ინგლის. (65 ძალის) — 750 გირვ. სტერლ., ფრანკო ჭიათურა.

ძაფი საკერი მანქანისთვის (სხვადასხვა ფერისა) 19 მ. 50 კ., 40 მ. და 70 მ. „გროს“-ში.

ტყავეულობა — 2200 მან. — ფრანკო — კოჟსინდიკატის საწყობი.

ასანთი რუს. — 14 მ. 50 კ. და 13 მ. 75 კ.

ცინკის უმარილი — 24 მან. და 22 მან. ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი ბაქოში.

ფეხსაცმელი სამუშაო (ინგლის.) — 22 ჩ. მან. წყვილში, და სამუშაო ტანსაცმელი — 7 მან. ცალში, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება გაცხოველებულია.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(9 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	1.950.000	60 კ.	117.000.000
2 „	3 900.000	70 „	136.500.000
3 „	5 850.000	80 „	156 000.000
4 „	7.800.000	90 „	175 500.000
5 „	9 750.000	1 მ.	195 000 000
6 „	11.700.000	2 „	390 000.000
7 „	13 650.000	3 „	585.000.000
8 „	15,600 000	4 „	780 000.000
9 „	17 550 000	5 „	975 000.000
10 „	19 500.000	6 „	1.170.000.000
20 „	39 000.000	7 „	1.365.000.000
30 „	58.500.000	8 „	1.560.000.000
40 „	78 000.000	9 „	1,755.000.000
50 „	97.500.000	1ჩერ.	1,950.000.000

ჩერვონცის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონეცის კურსი მეტად ზევით იწევს (ერთ დღეში 100 მილიონით); აგრეთვე უცხო ვალიუტაც.

მეცხვარეობის აღდგენა კულტურული ზომების საშუალებით.

ნედლეულის კომიტეტის მიერ მოწვეულმა საგანგებო თათბირმა, სხვა საკითხთა შორის, რომლებიც შეეხებოდა მეცხვარეობის საქმეს ამიერკავკასიაში, განიხილა კერძოდ საკითხი, თუ კულტურული ხასიათის რა ზომები უნდა იქნეს მიღებული მეცხვარეობის და მატყლის წარმოების აღსადგენათ, მის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად.

თათბირმა საჭიროდ სცნო შემდეგი ზომების გატარება: ზოოლოგიური და ეკონომიური გამოკვლევა (ჯიშის, მატყლის თვისების, ცხვრის გამოკვების და სხვ.) მეცხვარეობის მდგომარეობისა ამიერ-კავკასიაში; საბალახოების და სათიბების შესწავლა და მათი გაუმჯობესება ხელოვნური საშუალებებით, საკვები და დასასვენებელი პუნქტების მოწყობა, ძველი წყაროების გაწმენდა.

ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების ორგანიზაცია; მატყლის ბაზრების შესწავლა როგორც რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ და სხვა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა.

1923 წლის უკანასკნელ მეოთხედში (ოქტომბერი—დეკემბერი) ამიერკავკასიაში შემოტანილია საზღვარგარეთიდან სულ 4740 ათას მანეთის საქონელი, წონით 670 ათასი ფუთი. ამ რიცხვში შედის აგრეთვე ტრანზიტი. როგორც ღირებულებით, ისე წონით საქონლის იმპორტში პირველი ადგილი უჭირავს პირველ მოთხოვნილების საგნებს, რომლის ღირებულება უდრის 2219 ათას მანეთს, ხოლო წონით—501 ათ. ფუთს. მეორე ადგილი უჭირავს საფეიქრო ნაწარმოებს და მასალას—842 ათ. მანეთის და წონით 69 ათ. ფუთს.

იმავე დროს გატანილია: სხვადასხვა პროდუქტები 728 ათ. მან. ღირებულების და წონით—371 ფუთი, ნედლეული და ნახევარი ფაბრიკატები—6456 ათ. მანეთის და წონით—9387 ათ. ფ. და სხვადასხვა ნაწარმოები 440 ათ. მანეთის, ხოლო წონით 47 ათ. ფუთი ამ რიგად გატანილია სულ 7625 ათ. მანეთის და წონით-კი 9866 ათასი ფუთი.

საერთოდ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა გამოიხატება შემდეგი ციფრებით (ათას მანეთებში): ოქტომბერში: იმპორტი—1.749,9, ექსპორტი—1.529,8; ნოემბერში—იმპორტი—1372,2 და ექსპორტი 3.147,7; დეკემბერში—იმპორტი 1.618,8, ექსპორტი—2 947,8. მაშასადამე იმპორტი უდრის 4.740,9 ათ. მან., ხოლო ექსპორტი—7 625,3 ათ. მან. მთელი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უდრის 12.366,2 ათ. მან.

ექსპორტი აღემატება იმპორტზე 2 844,4 მანეთით, ე. ი. ბალანსი აღნიშნულ თვეების განმავლობაში საშუალოდ დადებითია.

საქართ. შინა-ვაჭრობის კომიტეტის ორგანიზაცია

დაარსდა საქართველოს შინა-ვაჭრობის კომიტეტი, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს შინაური ვაჭრობის მოწესრიგება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, ე. ი. სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული ვაჭრობის ძირითადი პრინციპების და მეთოდების გამომუშავება, ზედამხედველობა და შეთანხმებული მოქმედება საქართველოს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა.

კომიტეტის დებულებით განისაზღვრება აგრეთვე კომიტეტის უფლებები: საქონლის სიების შედგენა და დამტკიცება, აკრძალულია კომიტეტის ნებადაურთველად ფასების აწევა ფაბრიკების და ქარხნების საწყობებიდან საქონლის გამოშვების დროს და სხვ.

კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ავაქოვი, წევრებად—ამხ. კალანდაძე და მგალობლიშვილი.

კომიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა, პირველყოვლისა საორგანიზაციო საკითხების განხილვა და გაითვალისწინა მომავალი მოქმედების უახლოესი ამოცანები—სოფლის მომარაგება მრეწველობის პროდუქციით, ბაზრობების მოწყობა მაზრებში და პირველ რიგში—გორის მაზ., აქციზის დაკლება მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციაზე და საერთოდ სავაჭრო ბრუნვის გაფართოვება ქალაქსა და სოფელს შორის.

პოლიგრაფიულ განყოფილებაში

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილებას ამჟამად აქვს ოთხი სტამბა, ლიტოგრაფია და ერთი ასოთ ჩამომსხმელი ქარხანა.

1921 წელში, სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, განყოფილებამ არ იცოდა, თუ რას უდრიდა მისი შემოსავალი, რა ღირებულების ინვენტარით და სატრიალო თანხით ეწეოდა ამ მუშაობას, ზარალი ჰქონდა თუ მოგება.

1923 წლის პირველი იანვრიდან, პოლიგრაფიული განყოფ. იწყებს ანგარიშით მუშაობას. განყოფილების საბუღალტერო წიგნების ჩვენებით 1923 წლის პირველი იანვრისათვის მას ქონებია ძირითადი თანხა 452,969 ოქროს მანეთი და სატრიალო 74,000 მანეთი, წმინდა შემოსავალი იმავე წლის განმავლობაში ნაჩვენებია 4201 მანეთი და საამორტიზაციო ფონდში გადარიცხულია 7,639 მანეთი. დაწყებული პირველი იანვრიდან ნახევარი წლის განმავლობაში, ე. ი. 1923 წლის პირველ ივლისამდის განყოფილების მუშაობას შესამჩნევი წინსვლა ეტყობა. ამ ხნის განმავლობაში ჩამოწერილია უიმედო ვალები 4,336 მანეთი, გადარიცხულია საამორტიზაციო ფონდში 20,857 მანეთი და და რჩება კიდევ მოგება 2,899 მან. კიდევ უფრო უკეთ მიდის განყოფილების საქმე შემდგომი სამი თვის განმავლობაში, ე. ი. პირველ ოქტომბრისათვის საამორტიზაციო ფონდში ხელახლა ირიცხება 10 423 მანეთი და წმინდა შემოსავალი დარჩა 4,674 მანეთი. სულ კი ათი თვის განმავლობაში წმინდა მოგება რჩება 7 460 მანეთი და საამორტიზაციო ფონდში ირიცხება 31,259 ჩერვ მან.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძოთ სტამბები და ლიტოგრაფია ამ ათი თვის განმავლობაში იძლევიან ზარალს, რაც გამოიხატა 5,540 მანეთის რაოდენობაში, ხოლოდ ერთადერთი ასოთ ჩამომსხმელი ქარხ იძლევა 12,989 მანეთ მოგებას, რაც ფარავს სტამბების და ლიტოგრაფიის ზარალს და საერთოდ სტოვებს კიდევ მოგებას 7,460 მანეთს.

ამ თანხას თუ მივუმატებთ კიდევ იმ ნაწილობრივ შესრულებულ სამუშევრებს, რომელთა ღირებულება არ შესულა ბალანსში, მოგებას მივიღებთ ინსპექციის გამოანგარიშებით 12 720 მანეთით მეტს, ე. ი. სულ—20 180 ჩერვ. მანეთს, მხოლოდ ეს მოგება არ უნდა მივაკუთვნოთ მთლიანად 1923 წელს, რადგანაც ასეთივე დაუსრულებელი სამუშევრები ანგარიშით გადმოსულნი იყვნენ 1923 წელში წინა წლიდან.

რაც შეეხება პოლიგრაფიული განყოფილების წარმოებას წარსულში, უნდა ითქვას, რომ 1923 წლამდის შეუძლებელია მისი გამორკვევა, მხოლოდ 1923 წელში—კი საერთო წარმოება სტამბებისა ასეთია: სულ 10 თვის განმავლობაში 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ოთხივე სტამბას გამოუშვია 25 015.845 ანაბეჭდი, აქედან 10 416 118 შეადგენს აქციდენტურს, 6.734 298 წიგნისას და 7.866.328 გაზეთისას. ყველაზე მეტი ანაბეჭდი გამოუშვია მეხუთე სტამბას 32 პროც. დანარჩენებთან შედარებით, რაც აიხსნება ამ სტამბაში უმთავრესად გაზეთების ბეჭდვით, შემდეგი ადგილი უჭირავს პირველ სტამბას 24 პროც., შემდეგ მესამეს—22 პროც და უკანასკნელი—კი მე-4-ს 20 პროც.

აქ საინტერესოა შედარება პოლიგრაფიული განყოფილების სტამბების მუშაობის ინტენსივობისა სხვა თბილისში არსებულ სტამბებთან როგორიც არის, მაგალითად, „ზარია ვოსტოკას“, ცეკავშირის და რკინის გზის სტამბები. ამ მხრით პირველი ადგილი უჭირავს პოლიგრაფ. განყოფილების მე 5 სტამბას, რომელსაც ტოლი არა ჰყავს მთელ ტფილისში. მეორე ადგილი უჭირავს იმავე პოლიგ. განყ მეორე სტამბას, რომლის ინტენსივობა უდრის რკინის გზის და „ზარია ვოსტოკას“ სტამბების ინტენსივობას, მხოლოდ უკანასკნელი ადგილი—კი უჭირავს მესამე სტამბას.

უმთავრესად პოლიგრაფიული განყოფილების სტამბები მუშაობდნენ სახელმწიფო დაწესებულებათათვის, რომელთა მიერ მიცემული შეკვეთანი უდრის 97 1|2 პროც. საერთო რიცხვიდან და მხოლოდ 2 1|2 პრ კერძო დაწესებულებებიდან. აქედან უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, ე. ი. 15 ენკენისთვიდან 15 ნოემბრამდე შემოსული შეკვეთებიდან 46 პროც. შეადგენენ ქართულ ენაზე 32 პროც. რუსულ, 14 პროც. სომხურ და 8 პროც. თურქულ ენებზე.

ლიტოგრაფიის მუშაობა იმავე ხნის განმავლობაში გამოიხატება საშუალოთ თვეში 653 ოხმის დამუშავებით.

რაც შეეხება ასოთ ჩამომსხმელ ქარხანას, იქ წ. წ. თებერვლიდან მუშაობის მძიმე პირობების გამო, 8 საათ. სამუშაო დღის მაგივრად შემოღებულია ექვსი საათ. სამუშაო დღე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, წარმოებამ იქ არამც თუ იკლო, არამედ მოიმატა კიდევაც და მიაღწია 90 ფუთამდის თვეში. პრემიალური სისტემის შემოღების შემდეგ კი წარმოებამ მიაღწია 125 ფუთის გამომუშავებას თვეში.

აქედან ჩანს, რომ პოლიგრაფიული განყოფილების მდგომარეობა როგორც ფინანსიურად, აგრეთვე ორგანიზაციულადაც თანდათან უმჯობესდება, მხოლოდ მოიკოჭლებს მისი საქმე კომერციულად, რაც აიხსნება მის მიერ თვითღირებულების კალკულიაციის შეცდომით გამოანგარიშებით. პოლ. განყოფილება კალკულიაციის შემუშავების დროს ხელმძღვანელობდა სპეცების თეორეტიული ცოდნით, რის შედეგად ილიმენტები კალკულიაციისა გამო[illegible] [illegible] გადამეტებულ დ. რაც გავლენას ახდენდა ბეჭდვის სიტყვის გაძვირებაზე და ხდიდა მას ფართო მასისათვის მიუწვდომელათ. ასეთი ანგარიშის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პოლ. განყოფილება მუშების დღიურ თვითღირებულებას სთვლიდა გადაჭარბებულად, რაც ზედმეტ ტვირთად აწვებოდა ბეჭდვითი სიტყვას და რაც შეცდარ წარმოდგენას ქმნიდა განყოფილების ფინანსიურ მდგომარეობაზედაც, მაგალითად, პოლიგრაფიულ განყოფილების ანგარიშით იგი ტფილისის ხუთი გაზეთის ბეჭდვაში ყოველთვიურად აგებდა 1582 მანეთს ჩერვ მაშინ, როდესაც რომ ეს წაგება ინსპექციის რეალური გამოანგარიშებით განისაზღვრა 119 მანეთით თვეში. ამას გარდა პოლიგრაფიული განყოფილება რედაქციებს უკეთებდა „სკიდკას“ საერთო თანხით თვეში 593 მან, ე. ი. გაზეთებზე პოლ. განყ კარგავდა ყოველ დღე—712 მანეთს ცხადია, რომ თუ განყოფილება თვითღირებულებას გადაჭარბებულად ანგარიშობდა, მას მოგებაც ზედმეტი უნდა დარჩენოდა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასე არ არის, არამედ, პირიქით, სტამბები იძლევიან დეფიციტს. ეს გარემოება კი აიხსნება იმით, რომ პოლიგრაფიული განყოფილება თითონ არ უგდებდა ყურს თავის კალკულიაციას და ზოგჯერ შეკვეთებს ღებულობდა გაცილებით უფრო იაფად ან და მაშინაც კი, როდესაც პოლ. განყ ხელმძღვანელობდა კალკულიაციით, ის შედგენილი იყო საქონლის მანეთში, მას სრულიად უსაფუძვლოთ, შეკვეთის გამოანგარიშების დროს, საქონლის მანეთი გადაჰქონდა ჩერვ. მანეთზე პარიტეტით 1—1.65, რითაც იგი აიაფებდა საქონლის მანეთს და ამით იტყუილებდა თავის თავს. ამას თუ მივუმატებთ გაზეთებზე ყოველთვიურად გადანახარჯ 712 მანეთს, ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რატომ არა აქვს ისეთი დიდი მოგება პოლ. განყ., რომელიც მას უნდა ჰქონოდა მისი კალკულიაციის მიხედვით.

აქ აღსანიშნავია კონკურენცია ტფილისში პოლ. განყ სტამბებისა და უწყებათა სტამბებს შორის (ოკას, ცეკავშირის, „ზარია ვოსტოკას“ და რკინისგზის ტიპოგრაფიები). ინსპექციის მიერ მოხდენილმა შედარებამ აღმოაჩინა, რომ ყველაზე უფრო იაფად მუშაობს „ოკა“-ს სტამბა, მეორე ადგილზე დგას ცეკავშირი. თუ შევადარებთ საშუალო მწარმოებელ მუშა ხელის თვითღირებულებას აღნიშნულ სტამბებში ვღებულობთ ასეთ სურათს: ერთი მუშა უჯდება ცეკავშირს 5 მან. 85 კაპ., რკინისგზას 4 მან. 65 კაპ. და პოლიგრაფიულ განყოფილებას მისი კალკულიაციის მიხედვით 6 მან. 44 კაპ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებები და მათ შორის სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს განყოფილებანიც კი სარგებლობენ არა პოლიგრაფიულ განყოფილების, არამედ სხვა უწყებათა სტამბებით.

მუშაობის დასრულების შემდეგ, ინსპექციამ ცკას მიერ დანიშნულ კომისიასთან შეთანხმებით შეიმუშავა 12 მუხლი იმ ღონისძიებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მომავალში პოლიგრაფიულმა განყოფილებამ. ეს ღონისძიებანი შეეხებიან უმთავრესად კალკულიაციის შედგენის პრინციპებს, ბუღალტერიის ზოგიერთ დეფექტების გამოსწორებას, სამუშევრების სწორ აღრიცხვას და სხვადასხვა ზედნადებ ხარჯების შემცირებას.

საბჭოთა სასამართლოში

მამის მოკვლა

7 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში ამხ. შომახიას თავმჯდომარეობით განხილულ იქნა გერმანე ტყეშელაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდება მამის მოკვლა.

საქმის გარემოება ასეთია: ტყეშელაშვილი ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას. მკაცრად ეპყრობოდა დამბლა დაცემულ თავის ცოლს: ამ ნიადაგზე შვილსა და მამას შორის ადგილი ჰქონდა ჩხუბს და აყალ-მაყალს. გარდა ამისა მამამ მიაქირავა ორი ოთახი ვიღაც მეძავ ქალებს. მათთან დადიოდენ სტუმრები. იმართებოდა ქეიფი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ტყეშელაშვილის მამაც.

ივნისში ტყეშელაშვილის ცოლმა ვერ აიტანა ცხოვრების მძიმე პირობები და იგი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. ხელახლა ასტყდა ჩხუბი შვილსა და მამას შორის.

15 ივნისს დილით მამამ წინადადება მისცა შვილს წასულიყო კომისარიატში, სადაც უნდოდა გადაეწყვიტა სადაო საკითხები და აგრეთვე გაესაჩივრებია, რომ თითქოს შვილი მოკვლით ემუქრებოდა მას.

კომისარიატში მათ ვერ ნახეს საჭირო პირები და გამოვიდენ ქუჩაში. იქ შვილმა გერმანემ მამას ესროლა 6 ტყვია და მოჰკლა.

სასამართლოს კვლევა-ძიების დაწყებამდე დამცველი კრისტოფსკი მოითხოვს საქმის გადადებას და გამოძიების დასრულებას, ვინაიდან არ იყო მოხდენილი საექიმო ექსპერტიზა ბრალდებულის დედის და სხვ.

სასამართლომ დაადგინა საქმე განიხილოს და მოიწვიოს ექსპერტები: ფსიქიატრი და ვენეროლოგი.

ბრალდებულმა დამნაშავედ იცნო თავი მამის მოკვლაში და განაცხადა, რომ მას არ ახსოვს ის პირობები, რომელშიაც მან ესროლა მამას ტყვია.

მოწმეთა ჩვენებამ დაადასტურეს ის საშინელი პირობები, რომლებშიაც სცხოვრობდა გერმანე და მისი დედა. ტყეშელაშვილი—მამა ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას და მკაცრად ეპყრობოდა თავის ცოლს.

ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ბრალდებულში არის გადახვევა ნორმიდან. უეჭველია, რომ ის მოქმედებდა სულიერ მღელვარების ხანაში. პატოლოგიური აფექტის კატეგორიულად დადასტურება ექსპერტისას არ შეუძლია.

პროკურორმა დიდებულიძემ, მიიღო რა მხედველობაში სასამართლოს კვლევა ძიება, შესაძლებლად ჩასთვალა ბრალდების მოხსნა წინასწარ განზრახულ მკვლელობაში და დააყენა საკითხი სულიერ მღელვარების დროს მოხდარ მკვლელობის შესახებ.

სასამართლომ სცნო გერმანე დამნაშავედ მამის მოკვლაში სულიერ მღელვარების დროს და მიუსაჯა მას 6 თვით ციხეში დაპატიმრება. მისჯილს ჩაეთვალა წინასწარი დაპატიმრება, რომელმაც დაფარა სასჯელის მოხდის ვადა.

ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტში

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ეს მესამე წელიწადია, რაც ტფილისში არსებობს მიხა ცხაკაიას სახელობის რესპუბლიკის ფიზიო თერაპ. ინსტიტუტი, სადაც საშუალება ეძლევათ ყველა მუშა მშრომელთ მრავალ სხეულებათაგან განკურნების (პაგ. ქარ. ბი, რევმატიზმი, ნევრალგია და სხვა), რაც ხშირი მოვლენა ჩვენში ამ ბოლო დროს. არის წამლობა აბტალის ტალახით, ელექტრონით, მასაჟი და სხ.

ჯანსახკომისა, ამ ინსტიტუტის დირექტორ პროფესორის ღამბარაშვილის და აქ მყოფ ექიმთა მეცადინეობის წყალობით ინსტიტუტის მდგომარეობა საუკეთესო დონეზე იქნა დაყენებული, რა მხრივაც არ უნდა შეხედოთ მის მუშაობას, მის მდგომარეობას გული სიამოვნებით ალგვსებათ, რისთვისაც არა ერთი ღირსეული მადლობა დაუმსახურებია მის მართველებს, და აი ამის შემდეგ ამ ინსტიტუტში მყოფი ავადმყოფები ვიღებთ ჩვენთვის ძლიერ არა სასიამოვნო ცნობას, იმ ექიმის აქედან გადაყვანის შესახებ სხვა საავადმყოფოში, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ამ ინსტიტუტის სასურველ კალაპოტში ჩაყენების საქმიანობაში. სახელდობრ ექიმ ორდინატორ მაჭარაშვილის აქედან გადაყვანის შესახებ.

ჩვენ, ფიზიო-თერაპ. ინსტ. მყოფ ავადმყოფები რიცხვით 29 კაცი უპირველესად მადლობას უძღვნით რა ჯანსახკომს ამ ინსტიტუტის ასეთ კარგ მდგომარეობაში ჩაყენების გამო, ვთხოულობთ ერთხმად ექიმი მაჭარაშვილი იქნეს დატოვებული ჩვენთან, და იქ, სადაც იგი უნდა გადაეყვანათ დანიშნონ სხვა.

ჩვენ საავადმყოფოებისათვის საჭიროა ისეთი ექიმები, რომელთაც გარდა საკმაო ცოდნა გამოცდილებისა ექნებათ საკმაო ენერგია საქმისადმი სიყვარული, [illegible], და სხ. და ჩვენ ყოველივე ამას ექიმ მაჭარაშვილში ვხედავთ.

ჩვენ არ ვიცით პატივცემული ექიმი მაჭარაშვილი ისურვებს, თუ არა აქ დარჩენას, მაგრამ როგორც ჯანსახკომს, ისევე მას ვთხოვთ ჩვენი მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული.

ხელს აწერს 29 კაცი.

მეცნიერება და ტექნიკა

ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ.

სიკვდილმა დიდი ზიანი მოგვაყენა ჩვენ—წაგვართვა ლენინი.

ამიტომ მით უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ჩვენ მეცნიერების ყველა ცდებს დამარცხოს სიკვდილი. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ასეთი ცდა არის გაახალგაზრდავების პრობლემა, რომელზედაც მუშაობენ საზღვარ-გარეთელი მეცნიერი, შტეინახი და ჩვენი მეცნიერი ვორონოვი პარიზში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია პროფ. კრავკოვის მუშაობაც; ეს პროფესორი მუშაობს ლენინგრადში (პეტროგრადში).

მან შეიმუშავა განსაკუთრებული შემადგენლობა, რომელიც საშუალებას იძლევა შენახული იქნეს დიდხნით ცალკე ნაწილები არტერიების, ვენების და ჩვენი ორგანიზმის სხვა ნაზი ნაწილების.

ამას გარდა ის ახდენდა ბრწყინვალე ცდებს ცხედარის ცალკე ნაწილების გაცოცხლებისათვის. ასე მაგალითად, ის აცილებდა ცხედარის თითს, გასინჯავდა მას და რამოდენიმე ხნის შემდეგ ის მკვდარ თითს ჩაუშვებდა ჭურჭელში, რომელშიაც ესხა განსაკუთრებული სითხე; ამ სითხის შემადგენლობა მის მიერ არის შემუშავებული. ასეთ ცდას შედეგათ მოყვებოდა ხოლმე თითის გაცოცხლება: თითზე ჩნდებოდა ოფლი, ბრჩხილები იწყებდენ ზრდას და სხვა.

მისი იდებით დაინტერესდენ ყველა მეცნიერები.

ყველა ამ ცდებს ჯერ-ჯერობით დაქსაქსული ხასიათი აქვთ და ხდება მეცნიერების სხვადასხვა დარგებში; ეს იმ დროს, როდესაც ერთი წყება მეცნიერები მუშაობენ ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზრდავებაზე, მეორე—სწავლობენ ქსოვილების დაცვის და გამოცოცხლების პირობებს, მესამე წყება მეცნიერები კი სცდილობენ გაცვეთილი ნაწილები შესცვალონ ახალით.

ამ გზაზე რომ მეცნიერებას გამარჯვება მოელის, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ჩვენ ეხლაც ვიცით მუდმივი სიცოცხლის შემთხვევები, განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს უბრალო აგებულების ცხოველებს შორის: გიდრა, კორალლი, ბაქტერიები—აქ ცალკე ერთეულის სიკვდილი შეუმჩნეველია. ადამიანის სიკვდილი კი ჩვენთვის ერთბაშათ თვალსაჩინო ხდება იმიტომ რომ ადამიანი ცალკე არსებაა, ის სხვასთან არ არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ ბევრი დრო იქნება საჭირო ამ დაქსაქსულ ცდებისათვის, შემდეგ კი მეცნიერება გრძნობს აუცილებლობას მოიყვანოს ყველა ეს ცდები ერთ სისტემაში, რასაც შედეგათ მოყვება მთელი რიგი მეცნიერული მიღწევები ამ დარგში და ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ ისეთი უიმედო აღარ იქნება, როგორც ამჟამათ.

ქრონიკა

— **მთვარის სრული დაბნელება.** საქართველოს ფიზ. ობსერვატორიის ცნობის მიხედვით, ამა წლის 20 თებერვალს მოხდება მთვარის სრული დაბნელება. დაბნელების დასაწყისი საღამოს 5 ს. 18 წუთზე, რაც ამიერკავკასიაში არ სჩანს. ტფილისში მთვარე ამ დღეს ამოდის მხოლოდ საღამოს 5 ს. და 29 წუთზე, ესე იგი დაბნელების დასაწყისის 11 წუთის შემდეგ. უკვე მთვარის ამოსვლის დროს მისი ერთი მეექვსედი ნაწილი ქვემო მარცხენა მხრიდან იქნება დაჩრდილული. სრული დაბნელების დასაწყისი, ესე იგი მთვარის სრულიად მოქცევა. დიდამიწის ჩრდილში—6 საათზე და 19 წუთზე. დაბნელების შუა მომენტი—7 საათზე და 8 წუთზე. მთვარის სრული დაბნელების დასასრული 7 საათზე და 57 წუთზე. ამ დროს ჩრდილოეთიდან გამოჩნდება მთვარის ქვემო ნაწილი. მთვარე თანდათანობით ჩრდილიდან გამოვა და 8 საათზე და 58 წუთზე—დაბნელების დასასრული დრო ყველგან ნაჩვენებია ტფილისის.

— **ტფილისის განათლების მუშაკთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადამზადების კურსები.** სამშაბათს, 5 თებერვალს სხდომაზე ამხ. მარიამ ორახელაშვილმა გააკეთა მოხსენება: მასწავლებლის და სკოლის როლი საბჭოთა სახელმწიფოში.

მომხსენებელი შეეხო რუსეთის ინტელიგენციის ისტორიას, განსაკუთრებით რევოლიუციონურ პერიოდებში, აგრეთვე საქართველოს ინტელიგენციას გასაბჭოების შემდეგ. აღნიშნა მოთხოვნილებანი, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო უყენებს სკოლას და მასწავლებელს. დასასრულს მოუწოდა ინტელიგენციას საერთოდ და განათლების მუშაკებს კერძოთ ითანამშრომლონ ოქტომბრის მონაპოვართა საფუძვლებზე.

— **რადიოს გამოყენება.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მიერ საბჭოთა დაწესებულებებისა და პარტორგანიზაციებისათვის დაწესებულია შეღავათიანი ტარიფი ცირკულიარულ დეპეშების, განკარგულებების, მოწოდებების, ინფორმაციის და სხვ. გადაცემისათვის რადიოს საშუალებით ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

თვითეული სიტყვის ფასი უდრის კერძო დეპეშებისათვის დაწესებულ ტარიფის 75 პროც., ამასთანავე ფასის გადახდის დროს დეპეშისათვის ეს ტარიფი გამრავლებული იქნება დეპეშაში მოყვანილ სიტყვების რიცხვზე და აგრეთვე დანიშნულების პუნქტების რიცხვზე.

— **წითელი ჯვრის სასარგებლოდ.** წითელი ჯვრის სასარგებლოდ დაწესებული 9, 10 და 11 თებერვალს 10 პროცენტული გადასახადი სხვადასხვა მაღაზიებზე და დაწესებულებებზე არ ვრცელდება კოოპერატიულ დაწესებულებებზე (ერკოპზე).

— **მუშების გაგზავნა საზამთრო აგარაკებზე.** დამზღ. კასამ სოხუმის აგარაკზე დაზღვეულ ავადმყოფ კასის წევრების საგზაო ხარჯებზე დახარჯა 25 მან. 70 კ. ჩერ.

— **მანქანა-იარაღები გლეხებისათვის.** მიწათმოქ. კომისარიატის აგრო დახმარებამ გლეხობის შორის გაანაწილა 816 მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

— **თესლეულობის დარიგება.** მიწათ-მოქ. კომ. აგრო-დახმარებამ საშემოდგომო სეზონისთვის თესლეულობის სახით გასცა გლეხებზე 140,160 ფუთი ხორბალი.

— **ტანსაცმელის მკერავ არტელის დავალიანება.** დამზღვევ კასამ ტანსაცმელების მკერავ არტელის დავალიანება 1 იანვრამდე გააუქმა და პროცენტული ანარიცხები 1 იანვრიდან 12 პროც. განსაზღვრა.

— **ახალი ამბულატორია.** 14 თებერვლიდან ტფილისში გაიხსნება ახალი ამბულატორია, რომლის დანიშნულებაა განსაკუთრებით მალიარიის წინააღმდეგ ბრძოლა.

— **სანატორია რკინისგზელებისათვის.** რკინისგზელებისათვის სანატორიის ასაგებათ დამზღვევ კასის ცენტრ. სამმართველომ გადასდო 100 ათასი მან. ოქროთი.

— **სესხი მუშა-მოსამსახურეთ.** მუშათა მთლიან კოოპერატივმა დღევანდლამდე მუშა-მოსამსახურეთ სესხად მისცა საქონელი 222.470 მან. ჩერ. რაოდენობით.

— **მუშკოოპის ახალი მაღაზიები.** ამ დღეებში მუშათა მთ. კოოპერატივი ხსნის ახალ მაღაზიებს: თუმანოვის და ჩერქეზიშვილის ქუჩებზე.

— **ახალი შემნახველი კასა.** უახლოეს ხანში ლენინის ქუჩაზე გაიხსნება მეექვსე შემნახველ-გამსესხებელი კასა.

— **სახლების შესაკეთებლად.** ქ. აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველო იმუშავებს სავალდებულო დადგენილებას სახლების შესაკეთებლად სახლების ქირის ხარჯზე.

— **სოფლების აღწერა.** შ. ს. ს. კომისარიატმა შეიმუშავა განსაზღვრულ ფორმის სტატისტიკური ფურცლები სოფლების აღსაწერად. ფურცლებში მოთავსებული უნდა იქნას ცნობები თითოეულ ადმინისტრატიულ რაიონში შემავალ სოფლების რაოდენობის, მათი ეკონომიურ მდგომარეობის, მოსახლეობის რაოდენობის და სხვ. შესახებ არა უგვიანეს მარტის 15 სა.

— **ექსკურსია.** შ. ს. ს. კომისარიატის თანამშრომელთა ადგილკომის მეთაურობით, თებერვლის 3-ს გაიმართა მრავალრიცხოვანი ექსკურსია ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის დასათვალიერებლად. უახლოეს დღეებში განზრახულია ასეთისავე ექსკურსიის მოწყობა ჩათახის ქარხნის დასათვალიერებლად.

— **ჟურნალი „კავშირი“ № 2.** გამოვიდა ცეკავშირის ორგანო „კავშირის“ მეორე ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები 1. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი 2. ლენინით, ლენინიზმის დროშით—კოოპერატორი. 3 კოოპერატიული მშენებლობის შესახებ საქართველოში—ე. დ 4. ყრილობა ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეობის შესახებ—ე. დ. 5. რეზოლიუცია თათბირისა მეაბრეშუმეობის შესახებ. 6. კოოპერატიული და ეკონომიური ქრონიკა. 7. საქართველოს მეცხვარეთა კოოპ ამხ. „მწყემსის“ რწმუნებ. კრება.—დამ.წრე 8 კოოპერაციის მუშაობა სამტრედიის რაიონში (შთაბეჭდილებანი)—დ. გახოქე 9 ოქმი ცეკავშირის ინსტრუქტორთა კოლეგიის თათბირისა, 10. ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების დებულება, 11. სტენოგრაფიული ანგარიშები საქ ცენტრ. კოოპერატ. კავშირის რწმუნებულთა მეოთხე ყრილობისა.

— **ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების** მორიგ სხდომაზე კვირას, 10 თებერვალს, დილის 11 საათზე, ცენტრარქივის შენობაში (ყუფილ ოლღას ქ. № 48) მოსე ჯანაშვილი წაიკითხავს [illegible] „[illegible] და [illegible] ნმაჩრების წესი [illegible] ზმნა ქართულში“. დასწრება ყველას შეუძლია.

— **შრომის ბირჟა.** 7 თებერვალს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 86 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—111. მოთხოვნილება იყო—33, სამუშაოზე გაიგზავნა—304.

შეცდომის გასწორება

წერილში „ჩერვონცები და შემნახველი კასები“, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, შეპარულია რამოდენიმე კორექტურული შეცდომა: მესამე სვეტში ზევიდან მე 41 სტრიქონში სწერია: „თქვენ არ უნდა დახარჯოთ“ უნდა იყოს „თქვენ ან უნდა დახარჯოთ“. იმავე სვეტში ქვევიდან მე-6 სტრიქონში სწერია: „ბონების ახლო გამოშვება“, უნდა იყოს „ბონების ახალი გამოშვება“, მეოთხე სვეტში ქვევიდან მე 5 სტრიქონში სწერია: „ამხაირათ ბონების ფასი იზრდება“ უნდა იყოს „ამნაირათ ბონებით მათზე ფასი იზრდება“.

შემთხვევები.

— **მოწამვლა.** 6 თებერვალს გარდაიცვალა ფარგანყოფილების თანამშრომელი ნინა იაგორის ასული ლომთათიძისა. (წყნეთის ქ. № 3). ექიმის შემოწმებით აღნიშნული პირი აღმოჩნდა მოწამლული. მიზეზი თვითმკვლელობისა გამოურკვეველია ძიება სწარმოებს.

— **ცეცხლი.** 6 თებერვალს დღის 3 საათზე სასამართლოს ქ. № 28, მდებარე ოსვალდიდის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ.

ქურდობა. 5 თებერვალს გაქურდული იქნა ა.-კ. სახ. სავაჭროს საწყობი (თამამშევის ქარვასლა) წაღებულია 1177 მან. და 44 კაპ. ჩერ. სხვადასხვა საქონელი. მიღებულია ზომები ქურდების შესაპყრობათ.

— **ქურდი რძალი.** 5 თებერვალი. ღამის 9 საათზე გაქურდეს მოქ. სტეფანოვი სუმბათის ბინა, მდებარე კამგეროვის ქ. № 51, წაღებულია ორი ხალიჩა და ორი ბოხჩა ქალის ტანისამოსი. ეჭვით შეიპყრეს დაზარალებულის რძალი მარიამ მატინოვისა.

— **ცეკავშირის საწყობის გაქურდვა.** 6 თებერ ღამით გაქურდეს ცეკავშირის საქსოვი ქარხნის საწყობი ტურგენევის ქ № 9. წაღებულია სხვადასხვა აბრეშუმის და ბამბის მასალა და ფაბრიკატები ღირებული 2787 მან. 27 კ. ჩერ.

სტუდენტების დაღუპვა მტკვარში

გუშინწინ საშინელი უბედურება დატრიალდა მტკვარზე. სახლწოდების დღეობიდან კარგად ნაქეიფარი ახალგაზრდები ბრუნდებოდნენ და ნავით მოისურვეს გასეირნება. ნავი მიბმული იყო ვერის ხიდთან და ეკუთვნოდა ერთ-ერთ მოქეიფეთაგანს—ლოლაძეს. ნავში ჩასხდნენ ყველა ამხანაგები: გ. პ ძიჩინაშვილი, ნ. პ. რევაზიშვილი(?) ირაკლი და ვახტანგ ლოლაძენი, ც. გაუკციანცი, გ. ნაზარბეკოვი, გ. აბახოვი, მ. კირკალოვი, შ. ბახტაძე, გ. ინაშვილი, ლ. ალიხანოვი, ო. მიქაელიანცი, ლ. დავიდოვი, და კ. ნესტოროვი.

ნავი საზღვაო ტიპისა იყო და მართავდა ორი მეზღვაური, ნავი დაიძრა გიტარის დაკვრითა და სიმღერით. ვორონცოვის ხიდის მახლობლად ნავი შლამში ჩაეფლო ახალგაზრდობამ მოახერხა ნავის შეცურება წყალში, მაგრამ წყლის მდინარეობამ უკმად გაიტაცა ნავი და ხიდის შუა ბურჯს დაეჯახა. ნავი გადაბრუნდა და ყველანი მტკვარში გადაცვივდნენ. ვინც ცურვა იცოდა, მათ შორის ორი მეზღვაური გადარჩა. წისქვილის მუშებმა ორი მათგანი გამოათრიეს წყლიდან, ერთი უკვე მკვდარი, მეორეს კი სიცოცხლის ნიშნები კიდევ ჰქონდა. დანარჩენი 6 ახალგაზრდის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ხელოვნება

ვლადიმერ გოროვეცი.

გამოცხადებულია პიანისტ ვლადიმერ გოროვეცის პირველი კონცერტი. ვლ. გოროვეცი, მოსკოვის და პეტროგრადის გაზეთების აზრით, განსაკუთრებული ნიჭის პატრონია.

გლაზუნოვი ამბობს, რომ ვლ. გოროვეცმა თავისი ვირტუოზული ნიჭით მოკლე დროის განმავლობაში შესძლო დაეპყრო და გაეტაცებია შესრულების შემოქმედებით მსმენელთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია; პიანისტის მუსიკალურ გადმოცემაში, გლაზუნოვის სიტყვების თანახმათ, ბევრია სიცოცხლე, მხატვრული სურათობა, ცეცხლიანი ტემპერამენტი და ხმოვანების სიმშვენიერე.

პეტერბურგის მუსიკალურ კრიტიკოს, გლებოვის აზრით, ფორტეპიანოს შემოქმედებამ შეიძინა ისეთი დიდი ნიჭი, რომლის მსგავსი დიდი ხანია უკვე აღარ უნახავს საკონცერტო ესტრადას.

ასეთივე აზრს გამოსთქვამს გოროვეცის ნიჭის შესახებ კრიტიკოს კარატიგინი; ის პიანისტის ნიჭს ადარებს პიანიზმის ისეთ განსაკუთრებულ გენიოსების ნიჭს, როგორიც არიან ბუზონი, გოდოვსკი, რახმანინოვი.

გოროვეცი ახალგაზრდა პიანისტია. ეს მისი პირველი საკონცერტო ტურნეა რუსეთში და საქართველოში.

ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი კონცერტების სერიოზულ და მრავალფეროვან პროგრამას; პროგრამაში გარდა კლასიკებისა (ბახი, რამო, ვივალდი, ბეტხოვენი) შეტანილია აგრეთვე გერმანელ რომანტიკოსების შუმანის, შუბერტის, გენიალურ ლისტის და პოლონეთის გენიალურ კომპოზიტორის შოპენის ნაწარმოებები; ამათ გარდა პროგრამაში შედიან რუსეთის კომპოზიტორების სკრიაბინის, ჩაიკოვსკის, მეტნერის და საფრანგეთის სკოლის მოდერნისტების რაველ დე ბიუსსის ნაწარმოებები.

პროგრამა მართლაც რომ განზომილია. რასაკვირველია, მთავარი ის კი არ არის, რა იქნება შესრულებული, არამედ ის, თუ როგორ იქნება შესრულებული.

ა. ბებუთოვი.

— **ტასო აბაშიძის საიუბილეო კომიტეტი** აცხადებს, რომ ყველა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთაც სურთ საიუბილეო ზეიმში მიიღონ მონაწილეობა, უნდა წინასწარ განაცხადონ რუსთაველის თეატრის კანტორაში.

შალვა დადიანმა ტასო აბაშიძის მოღვაწეობის შესახებ შეადგინა წიგნაკი, რომელიც გამოსცა ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭომ. ფასი ათი შაური.

— **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერები.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მოთხრობათა პირველი ტომი. გამოცემა სახ. გამომცემლობის.

— **სტუდენტთა სასარგებლოთ.** კვირას, 10 თებერვალს სტუდენტთა კლუბში გაიმართება ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ დიდი საღამო.

— **საბავშვო თეატრი.** კვირას, 10 თებერვ. სახ საბავშვო თეატრში გაიმართება საბავშვო საღამო-წარმოდგენა ე. ნაკაშიძის ხელმძღვანელობით.

— **ირ. ევდოშვილის ნაწერების გამოცემა.** მიმდინარე წელს, სახ. გამომცემლობამ გადასწყვიტა, გამოსცეს ირ. ევდოშვილის ნაწერები სრულიათ. (3 ტომათ).

— **ანრი ბარბიუსის რომანი „ცეცხლი“ ქართულად.** სახ. გამომცემლობა შეუდგა ბეჭდვას და ახლო ხანში გამოვა ანრი ბარბიუსის რომანი „ცეცხლი“, რომელიც ფრანგულიდან ქართულად გადმოთარგმნა თედო სახოკიამ.

დღეს თეატრებში.

ოპერა. „თავადი იგორი“.

დრამა. „გააზნაურებული მდაბიო“.

სახ. სახლი. რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ამხ. ლენინის გლოვა ჩოხატაურში

იანვრის 23 მოსკოვიდან დეპეშამ ლენინის გარდაცვალების ამბავი მოგვიტანა. ამ სამწუხარო ამბის გაგებაზე საჩქაროთ შეიკრიბა პარტკომ-აღმასკომის პრეზიდიუმი, სადაც წაკითხულ იქნა ფრიად სამწუხარო დეპეშა,—აცნობეს მთელ რაიონში ყველა კომუჯრედებს და დაწესებულებებს ეს სამწუხარო ამბავი და მოუწოდეს გლოვისათვის.

მთელ დაბაში სიწყნარე ჩამოვარდა, ყველა დაღონებულია.

პარტკომის და აღმასკომის წინ გადმოკიდულ იქნა შავი არშიით გარშემორტყმული ლენინის სურათი; ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებს შავი ლენტი აქვს გულზე და მკლავზე გრული. ყველა ემზადება იმ საერთო გლოვის დღისათვის, რომელ დღესაც მოსკოვში მიწას მიაბარებენ

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 5 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების საგანგებო კრება.

ვინაიდან კრებაზე გაირჩევა სერიოზული საკითხები, ჩვენი მუშკორები ვალდებულნი არიან დაუკლებლად გამოცხადდენ აღნიშნულ კრებაზე დაუგვიანებლად.

გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ!

(საბჭოთა ფედერაციის ინგლისის მიერ ცნობის გამო)

წითელ მერანმა ქუსლი ჩაჰკრა ყორნისფერ არწივს
და სამარადოდ გაუთხარა შავი საფლავი;
ძველი პორთფელი ჩააბარა უძირო არხივს
და უკუნეთში ამობრწყინდა შუქურვარსკვლავი!

სუსტი მარჯვნივი დამორჩილდა ღონიერ მარცხნივს;
ცრუ რელიგიამ უსაქმური რწმენა დაკარგა;
ახალ ეპოქამ გზა გაუხსნა ცხოვრებას მარტივს
და მუქთახორად სინამდვილის ტვირთით დაბარგა!

დიდ ბრიტანეთმა გამოსცადა მძლავრი ანდერძი
და ისტორიას ვერ უნახა მოშლის მიზეზი,
მშრომელთ ქვეყანას შეუერთა თავისი ღერძი
და შეაბრუნა იალქნების ხაზი და გეზი!

ბრუნავს ბორბალი და მანქანა ოფლში ქაქანებს,
მაგარი ურო მუშის მარჯვე ხელს უკავია,
მტერი ორპოფ გულს აქეთ-იქით ნილდარ აქანებს,
ჩვენი მიზანი უდავოა და უკვდავია!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

უპატრონო სახლი

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

რუსთაველის ქუჩაზე № 24 არის მუნიციპალიზაციაქმნილი სახლი, რომელიც პირველხარისხოვან სახლად უნდა ჩაითვალოს. შემოსავალსაც ქალაქს კარგად აძლევს, ვინაიდან სახლში მოთავსებულია დუქნები, დაწესებულებები და სხვა. მიკვირს და ვერ გამიგია რაშია საიდუმლოება: სახლი ინგრევა, ფუჭდება და გულშემატკივარი არავინ არის!. არ ვარგა კანალიზაცია და წყალსადენი, ეზო და ფეხსადგილები სიბინძურით სავსეა, ზოგიერთ ალაგას ჭერი ლამის ჩამოინგრეს, მაგრამ ვის შესტკივა გული? გასული წლის სექტემბრიდან შეკეთებაზე ლაპარაკობენ, ხარჯთ-აღრიცხვაც კი შეადგინეს შარშან, მაგრამ ვინ არის გამგეობელი და პატრონი. „უქსი“ ფულს იღებს, მოგებაც არის; სახლის შეკეთებაზე ის სრულებით არც კი ფიქრობს. 5 თებერვალს, ღამის 11 საათზე სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ასე გასინჯეთ მქრობელმა რაზმმა წყალი ვერ იშოვა. რათ იყო წყალსადენი დაკეტილი?! ვისი ბრალია?! ვინ იცის, ვისი ბრალია, ამას ვინ იკითხავს. ცეცხლი ჩაქრობილი იქმნა რაზმის მიერ (ყოველ შემთხვევაში მას ასე ეგონა), მაგრამ მეორე დღეს დილის 9 საათზე სახლს ცეცხლი ისევ მოედო და იმსხვერპლა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ლაბორატორია. აუარებელი ზარალი ქალაქსაც და სახელმწიფოსაც. ვის უნდა სტკიოდეს თავი მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებისათვის? ვის ევალება სახლის ტეხნიკური დათვალიერება დრო გამოშვებით, თვალყურის დევნა სისუფთავეს ეზოში და ბინებში, რომ სახლს მცხოვრებლები არ აფუჭებდენ? არ ვიცით, ასეთი მდგომარეობა არის და ვისაც ეს საქმე შეეხება დროა ყურადღება მიაქციოს.

მუშკორი კ—ანი.

ასეთი კარაქი რომ არ მოეცათ, ბევრად სჯობდა

(პოლიგრაფიული განყოფილების საყურადღებოდ).

ჯერ კიდევ გასულ წლის დეკემბერში პოლიგრაფიული წარმოების მუშებში ხმები დადიოდა, რომ მუშებს ხვედრი კარაქი აღარ მიეცემათ და მოისპობათო, მაგრამ მუშებს ეს არ სჯეროდათ, რადგან საამისო მიზეზს ვერ ხედავდენ, რადგან დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ეძლევათ მუშებს თვეში 3 გირვანქა კარაქი, და შემდეგ ამასა კოლექტიური ხელშეკრულებაშიც ეს პუნქტი შეტანილია. მაგრამ, საუბედუროდ, ეს არაოფიციალური ხმები მართლდებოდნენ, რომ ჩვენი კავშირი და საკონფლიქტო კომისია არ ჩარეულიყო საქმეში, და როგორც იქნა დეკემბრის ულუფა თებერვალში მივიღეთ, სრულიად უვარგისი კარაქი, სული რომ არ მიგვეღოთ მუშებს — ისა სჯობდა, რადგან კარაქი სრულებით დაბალი ხარისხისაა, რომლის ხმარება სახიფათოც კი არის: კარაქი მძაღეა, შიგ ბალნით სავსე და მწვანე, რაღაც გაუგებარი წინწკლები ურევია. არ გვქონდა საშუალება, რომ მის გამოკვლევას შევსდგომოდით, თორემ კიდევ ბევრი სახიფათო რამეები აღმოჩნდებოდა ამ კარაქში. ეს მეორე შემთხვევაა, რაც ასეთ უვარგის კარაქს იძლევიან. ალბად ამით უნდათ აიძულონ მუშები, რომ უარი ათქმევინონ კარაქზე და „პოლიგრაფმა“ თავის სიტყვა გაიყვანოს. საინტერესოა, ვიცოდეთ, ვისა აქვს მინდობილი კარაქის ყიდვა. ჩვენ ბაზარზეც ვერა ვხვდებით ასეთ უვარგის კარაქს და ისინი სად იძენენ ასეთს.

საჭიროა, რომ კარაქის ყიდვაში თვით მუშების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

სტამბის მუშა.

რკინისგზის სამასალო სამსახურის ქარხნების მუშათა ცხოვრებიდან

აღნიშნული ქარხნები დაარსდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. აქ მუშაობს სამოცდაათამდე ფიზიკურათ მომუშავე მუშები და ოცამდის არა ფიზიკური.

მუშები ერთობ კეთილსინდისიერად და შეგნებულად ასრულებდენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მიუხედავად ამისა მაინც ხშირად აღელვებდა მათ გავრცელებული ის უსაფუძვლო ხმები, თითქოს მუშები ვერ ანაზღაურებდენ ქარხნებზე გაწეულ ხარჯებს და ქარხნებს ედგა ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

ამ ერთი თვის წინეთ ქარხანას გამოუჩნდა ახალი მმართველი ამხ. ზაკალ ქვ. ამხ. ზაკალოვი მთელი თავისი მოქმედებით ამტკიცებს, რომ იგი მოევლინა ქარხნებს ნამდვილ გულშემატკივრად და მათი არსებობის მტკიცე საფუძველზე დასაყენებლად. მან ქარხანას დაუახლოვა კანტორა, რომელიც სიშორის გამო ვერ უწევდა კარგ ხელმძღვანელობას და თითონ კი თითქმის ყოველდღე დამკლავებული დასტრიალებს ქარხნის მანქანებს, რომ წესიერად ემსახურონ მუშებს. მან აგრეთვე გამოარკვია, რომ კანტორას არ ჰქონია ანგარიშები რიგზე და არაფერიც იცოდა ქარხნის ავკარგიანობაზე. მან აქაც გამოიჩინა გამჭრიახობა და მისი ენერგიული მუშაობით შედგენილი იქნა წარსულ წლის ანგარიშები, რითაც გამოირკვა, რომ ქარხნებს არამც თუ არ უზარალნია, არამედ მუშებს თავისი უანგარო შრომით ქარხნებისთვის რვა ათასი ოქროს მანეთის მოგებაც მიუცია. მუშები გახარებულნი დარჩენ და იმედი მიეცათ, რომ მომავალში უფრო გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა. ვაშა ამხ. ზაკალოვს!

მუშა ივ. ბ—შვილი.

მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესების დამცველის, ძვირფასი ადამიანის ნეშტს.

გათენდა 27 იანვარი. მთელ დაბაში ფრიალებს შავით გარშემორტყმული წითელი დროშები. მოედანზე დილიდანვე გადმოკიდებულია ლენინის სურათი; წითელ დროშებს, რომელიც სურათის გარშემოა შემოკრული, აქვს შავი ლენტები სურათს დილიდანვე თავს ადგია იარაღით ორი საპატიო ყარაული. ტრიბუნა მორთულია ვარდ-ყვავილებით და მწვანე ფოთლებით. იწყება 12 საათი. ბუნება მოღრუბლულია, ისიც გლოვობს და დასტირის დიდებული ადამიანის დაკარგვას. ხალხმა ყველა კუთხიდან იწყო დენა, სასწავლებლებიდან დარაზმული გამოდიან მოწაფეები დროშებით და სამგლოვიარო სიმღერებით. მთელი მოედანი ხალხით გაივსო. ტრიბუნაზე ადის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. გვილიძე, რომელიც მიტინგს გახსნილად აცხადებს და აცნობს ხალხს დიდებული წინამძღოლის დაკარგვას მღერის ინტერნაციონალს, დროშები ეშვება დაბლა. სალაპარაკოთ გამოდის ამხ. ვარდენ კალანდაძე. ის ვრცელ მოხსენებას აკეთებს და აცნობს ხალხს ამხ ლენინს, ახასიათებს მას ყოველივე მხრით.

შემდეგ ამისა პროცესია დროშებით, ინტერნაციონალის სიმღერით უვლის მთელ დაბას და ისევ ბრუნდება მოედანზე ტრიბუნასთან სრულ ოთხ საათზე. ამ დროს გაისმის პარტიული ამხანაგების მიერ გასროლილი თოფების გრიალი. აამუშავეს ტყვიისმფრქვეველიც, ხუთი წუთის განმავლობაში განუწყვეტელი სროლა იყო. ამის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩოხატაურის რაიონის მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესების დამცველის და საერთაშორისო რევოლიუციის ბელადის ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახებ, ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ამის გამო და ადგენს: მართალია ლენინი მოკვდა ხორციელათ, მაგრამ არ მომკვდარა მისი იდეა და მოძღვრება; ის ფრთებს ისხამს და შედის ყველა მუშის გულში. ჩვენ ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ მისი ანდერძი.

გაუმარჯოს ლენინს, გაუმარჯოს ლენინიზმს, გაუმარჯოს მთელ მსოფლიოში ლენინის მოძღვრების განხორციელებას. გაისმის ინტერნაციონალის სიმღერა. სრულ ხუთ საათზე მიტინგი ნელნელა იშლება.

სეფე ცინცაძე.

ახუთის თემი (ზუგდიდის მაზრა)

ეს თემი მდებარეობს ქ. ზუგდიდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ 30 ვერსის მანძილზე და წარმოადგენს გეოგრაფიულად მაზრის განაპირას, მაგრამ საუკეთესო კულტურულ და ეკონომიურ ცენტრს. თემს აღმოსავლეთით სენაკის მაზრიდან საზღვრავს მდინარე „ციი“, დასავლეთით მდინარეები „ოჩხომური“ და „ჩელალუ“, სამხრეთით ლესიჭინის თემი და ჩრდილოეთით სოფ. ნაკიკიანო (ჩხოროწყუს თემი) თემში შედის სოფლები: ახუთი, სავეკუო და ლიგერსამე. სულ თემის სივრცე უდრის 28,6 კვადრატ. ვერსს და შეიცავს 2,979 ნახევარ დესეტინა მიწას, რომლიდან ნათესი არის, 1923 წ. სასოფლო სამეურნეო აღწერის ცნობით, 1.983 ქცევა, ბაღი და ვენახი 44 ნახევარი ქცევა. საერთო რიცხვი: ნათესი, ბაღი და ვენახის უდრის 2007 ნახ. ქცევას — 753 დესეტინას და შეადგენს მთელი მიწის 25,28 პროცენტს. დანარჩენი მიწა 2,226 დესეტინა — 74,72 პროც. შეადგენს დასასვენებლად დატოვებულს, გამოუსადეგარ მიწას და ტყეს და ბუჩქნარს. მეკომურთა საერთო რიცხვი არის 634 და შეადგენს სულ 3060 სულს მათ შორის 1,494 მამაკაცი და 1566 დედაკაცი. თემში არსებობს 8 წლიანი მთლიანი შრომის სკოლა ორი პირველ დაწყებითი 4 წლიანი სკოლებით, რომელიც მოთავსებულია თემის ორ პუნქტში. ირიცხება 350 მოწაფე და 13 მასწავლებელი. ახუთის მშრომელ გლეხობას შეგნებული აქვს სწავლის მნიშვნელობა და, მიუხედავად მატერიალური გასაჭირისა, მოხდომებული არიან შვილები 7 წლიდან სკოლაში მისცენ და ადგილობრივი სკოლა დაამთავრებინონ. მაგრამ ამ 8 წ. შრ. სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრია შემთხვევები, რომ მოწაფეებს სურთ სწავლის გაგრძელება და მშობლებს შეძლება არ აქვთ გაგზავნონ თავიანთი შვილები მაზრაში. ამიტომ ძალიან კარგი იქნება განათლების უწყება მიაქცევდეს ყურადღებას და მომავალ სამოსწავლო წლიდან არსებულ 8 წ. მ. შ. სკოლას გადააკეთებდეს სრულ ტეხნიკუმად. შენობა ამისთვის საკმარისი არის და მოწაფეთა რიცხვი საჭიროზე მეტიც მოგროვდება, ახუთის ცენტრალური მდებარეობის გამო.

მშრომელი მასის მოთხოვნილებით და ცენტრის სათანადო ყურადღებით საინიციატივო ჯგუფმა 1923 წ. აგვისტოდან დააარსეთ მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება გლეხებმა გაიგეს თუ არა ამ უკანასკნელის ეკონომიური მნიშვნელობა, შეიტანეს საწევრო გადასახადი და ღებულობენ პირველი მოთხოვნილების საგნებს ხელმისაწვდომ ფასებში. შეიძლება ითქვას, მ. მ. საზოგადოების საქმე თავიდანვე კარგად მიდის. ხალხი აქ ვერ ხედავს ძველებურ კოოპერატივს და ეყრდნობა მას ნდობით. მაგრამ ზოგიერთი ულარიბესი გლეხობისთვის მაინც ხელმიუწვდომელი ხდება იქიდან საქონლის შეძენა. ამიტომ საჭიროა, რამდენად ეს შესაძლებელი იქნება, უფრო მეტ შეღავათიან ფასებში მიეწოდოს მ. საზოგადოებას ქალაქის ნაწარმოები და შედარებით გლეხებისათვის დასაკმაყოფილებლად იქნეს გადაცვლილი სოფლის ნაწარმოებზე.

სოფლის მეურნეობისათვის მცხოვრებთა მიხედვით არ არის საკმარისად კარგი მოსავლიანი მიწა, რის გამო შინაურ ცხოველების მოშენება შედარებით ნაკლებია. 1923 წ. ს. ს. აღწერა გვიჩვენებს შემდეგ ციფრებს: სულ პირუტყვი არის 3169; მათ შორის ცხენი 139; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1517; ცხვარი და თხა 521; დანარჩენი 816. სივრცით მიწა მცხოვრებთათვის საკმარისია, მაგრამ რაკი შემოტანილი არ არის ჯერ ჯეროვნად დამუშავება გაუმჯობესებულ იარაღებით და გრძელდება მიწის დამუშავება ისევ ადგილობრივი ძველი მამა-პაპეული კავით და სახნისით, რომლითაც მიწა წლით წლობამდის იფიტება, — ასეთნაირად დამუშავებული მიწისაგან ღებულობს გლეხი საშუალო მოსავალს მარტო ორი სამი წლის განმავლობაში, მერე კი მეორე იმოდენა ხნით გლეხმა უნდა გაუშვას მიწა დასასვენებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მიწა არ ყოფნით გლეხებს მოყავთ უმთავრესად: სიმინდი, ლობიო, ღომი, თხილი, დაფნის ფოთოლი და ვინახი; ყავთ შინაური საქონლიდან: ცხენი, ხარი, ძროხა, თხა, ცხვარი და ღორი; ფრინველებიდან: ქათამი, ბატი, ინდოური და იხვი. ყველა აქ ზემოთმოხსენებული, საკუთარი საჭიროების გარდა, საღდება ადგილობრივ „იარმუკაში“, რომელიც წელში ერთხელ იმართება ხოლმე, და ბაზარში, რომელიც მოთავსებულია თემის ცენტრში და ეწოდება „სამღებრო“ ბაზარი „სამღებრო“ შეადგენს მთელი ჩხოროწყუს რაიონის და აგრეთვე სენაკის მაზრიდან: კიწია, ფუცხო, ალავერდი, კურზები, ნამკოლოუ და სხვა მახლობელ სოფლების სავაჭრო ცენტრს. ბაზრობა იმართება ყოველ პარასკეობით და კვირაობით. სოფ. ნამკოლოუდან მოაქვთ ადგილობრივი ქარხნის წითელი თიხის ნაწარმოები, მრავალგვარი ჭურჭლები. იყიდება ყოველგვარი პირუტყვი, ფრინველები და მათი ნაწარმოები. ბაზარში არის ორი დიდი ყაზარმა აბრეშუმის პარკის საწყობისათვის და ზემოთჩამოთვლილი მცხოვრებნი აქ ყიდიან ყოველწლიურად პარკს. ბაზარში ძველი შესაკეთებელი დარაბებისაგან ბევრი გადიეცა მოიჯარადრეებს, რომლებმაც ახლად შეაკეთეს. არის სახელოსნოები: 1 სათუნუქო, ერთი სამჭედლო, ორი სადურგლო, ორი საპარიკმახერო, რამოდენიმე სამიკიტნო და სხვა. დროგამოშვებით სკოლის შენობაში და ამისთვის დანიშნულ ცალკე დარბაზში იმართება ადგილობრივი სცენის მოყვარე ჯგუფის მიერ წარმოდგენები, რომლებიც ზაფხულობით უფრო ხშირია ხოლმე, რადგანაც თემის ახალგაზრდა მოწაფეობა ამ დროს თავისუფალია.

იასონ ჯაიანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 31 თარიღით და 123 ნომრით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 10-სა და 93 ნომრის დადგენილების 3 პუნქტის შესაცვლელად და 4 და 6 პუნქტის გასაუქმებლად, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილებასთან მოეწყოს სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი, თანახმად განსაკუთრებული დებულებისა — ამ კომიტეტის შესახებ.

3. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

დებულება

სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის შესახებ

1. მიზანი და მოვალეობა სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტისა.

სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს ევალება:

1. წინასწარი შემუშავება ცალკე სახალხო კომისარიატების ისეთი პროექტებისა, რომელიც შეეხება რესპუბლიკაში აღმშენებლობის საერთო გეგმას, და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით ამ პროექტების დასამტკიცებლად წარდგენა სახალხო კომისართა საბჭოში, აგრეთვე წარდგენა იმავე წესით სახალხო კომისართა საბჭოში ყოველწლიური ანგარიშისა რესპუბლიკაში აღმშენებლობის საქმის მდგომარეობის შესახებ.

2. შემუშავება სავალდებულო დადგენილებისა აღმშენებლობის შესახებ, აგრეთვე განხილვა ცალკე სახალხო კომისარიატების ასეთივე დადგენილებების პროექტებისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში.

3. შემუშავება: ა) აღშენებლობის ტეხნიკური ნორმებისა, ბ) ნორმალური ტეხნიკური პირობებისა სამშენებლო სამუშაოს და მასალის გასაცემად და მისაღებად.

შენიშვნა: 2 და 3 მუხლში აღნიშნულ ახალ სავალდებულო დადგენილებათა და სხვადასხვა დებულებათა გამოცემამდე, ძალაში რჩება არსებული დადგენილებანი და დებულებანი.

4 განხილვა ამა დებულების საფუძველზე წარდგენილი პროექტებისა ქალაქისა, აგარაკისა, ახალშენისა და სოფლის ახლად დაგეგმისა და მოწესრიგებისათვის აღნაგობის მიზნით და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით ამ პროექტების წარდგენა დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში.

5. განხილვა და დამტკიცება ახლად ასაგებ და ძირითად გადასაკეთებელ შენობათა პროექტებისა და აღრიცხვებისა, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტით განსახორციელებლად სარემონტო სამუშაოს და საზოგადოებრივი დანიშნულების ყოველგვარი ნაგებობის (ელექტრო-სადგურის, ფაბრიკის, მუშათა სახლის, საავადმყოფოს, თეატრის, სასტუმრო და სხვ.) პროექტისა და აღრიცხვისა.

შენიშვნა: ა) სარემონტო სამუშაოს არ ეკუთვნის მიმდინარე წვრილი რემონტი;

ბ) სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მიზანსა და მოვალეობას არ შეადგენს ქალაქის კერძო ხასიათის ახლად ასაგებ, ძირითად გადასაკეთებელ და შესაკეთებელ შენობათა პროექტებისა და აღრიცხვების განხილვა და დამტკიცება.

6 უმაღლესი ტეხნიკური ზედამხედველობა ახლად ასაგებ, ძირითად გადასაკეთებელ შენობათა აგებისათვის, აგრეთვე იმ შენობათა რემონტისათვის, რომელთა განხორციელებაც მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტით ან სახელმწიფო სამეურნეო ორგანოს ბიუჯეტით.

შენიშვნა: პროექტისა და აღრიცხვის შედგენა სამშენებლო სატეხნიკო კომიტეტის მოვალეობას არ შეადგენს.

7. დამტკიცება ტეხნიკური პირობებისა სამშენებლო სამუშაოს და მასალის გასაცემად და მისაღებად სახალხო კომისარიატების და სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების მიერ ასაგებ შენობათათვის.

8 გამოსაქვეყნებლად შეკრება ყოველთვიური ადგილობრივი ცნობისა მთლად რესპუბლიკაში სამშენებლო მასალისა და მუშა ხელზე არსებული ფასების შესახებ.

2. აღრიცხვის გატარების წესი.

9. ყველა დაწესებულება, რომელიც-კი სახელმწიფო მომარაგებასა და სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება ან ადგილობრივი სალარით ინახება, მოვალეა ყოველი თავისი სამშენებლო აღრიცხვა, როგორც წინასწარი, ისე სისრულეში მოსაყვანი, შესამოწმებლად და დასამტკიცებლად სამშენებლო სატეხნიკო კომიტეტს წარუდგინოს.

შენიშვნა: სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ამტკიცებს მხოლოდ იმ წინასწარ აღრიცხვას, რომლის განხორციელებაც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საჭიროდ იქნება ცნობილი.

10. დამტკიცებული წინასწარი აღრიცხვა სათანადო სახალხო კომისარიატს თუ დაწესებულებას შეაქვს თავის საბიუჯეტო აღრიცხვაში.

შენიშვნა: არც ერთ ისეთ დაწესებულებას, რომელიც სახელმწიფო მომარაგებაზე და სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება ან ადგილობრივი სალარით ინახება, უფლება არა აქვს ააგოს ისეთი შენობა ან მოახდინოს ძირითადი და სარემონტო მუშაობა, რაც სათანადო საბიუჯეტო აღრიცხვაში შეტანილი არ არის.

3. სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის უფლებანი.

11. სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, მის მიერ სატეხნიკო კონტროლის განხორციელების დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარად დარღვეული იქნება აღმშენებლობის საზოგადო სახელმწიფოებრივი ნორმები და სავალდებულო დადგენილებანი, უფლება ეძლევა: ა) მოითხოვოს შეჩნეული ნაკლის შესწორება ან თავიდან აცილება, ბ) უკეთუ ასეთი მოთხოვნა არ იქნება აღსრულებული, აქტი შეადგინოს და დამნაშავე ადმინისტრატიულ ან სასამართლოს პასუხისგებაში მისცეს, გ) უკეთუ საზოგადოებრივ უშიშროებას აშკარა საფრთხე მოელის, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით შეაჩეროს მუშაობის წარმოება და, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ჩამოაშოროს საქმეს მუშაობისათვის პასუხისმგებელი პირნი.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ უფლებებს სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი ახორციელებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების ან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

IV სამშენებლო - სატეხნიკო კომიტეტის სახსარი.

12 სამშენებლო სატეხნიკო კომიტეტი ინახება მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხარჯზე, ამასთან ყველა იმ სააღრიცხვო თანხიდან, რომელსაც სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი დაამტკიცებს, გადაირიცხება 1 პროც. ეს ფული სათანადო უწყებამ და დაწესებულებამ, სამშენებლო მუშაობისათვის თანხის გადადებისთანავე, უნდა შეიტანოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სალაროში.

V. სამშენებლო - სატეხნიკო კომიტეტის მოქმედების გასაჩივრების წესი.

13 საჩივარი სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებაზე შეტანილ უნდა იქნას დადგენილი წესით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღოღობერიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. ც. კ-ტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილება სთხოვს ყველა ქვემოხსენებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში შემოიარონ ცენტ. კ-ტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში:

1. არკადი ათაბეგოვი.
2. ალექსანდრე აგრბა.
3. აღნიაშვილი.
4. ნესტორ არჩვაძე.
5. არტემ აკოპოვი.
6. მუშეღ ალავერდიანი.

ც. კ-ტის სააღრიცხვო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ლიცინოვი.

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს 8 თებერვალს, საღამოს 6 ს. მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში ერთიანი პარტიული დღის მაგიერ შესდგება **არსენალის რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო რაიონული კრება** სამხედრო ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. ამხ. კახიანის მოხსენება პარტიული კონფერენციის შესახებ.
2. რაიკომის ხელახალი არჩევნები.
3. პარტიის წევრების დამტკიცება.

მდივნის მაგიერ: მაშკევიჩი.

საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების თათბირი.

— საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტი საბჭოთა პარტსკოლებში განვლილ მუშაობის შესამოწმებლად და სკოლების მშენებლობაში მომავალ ამოცანათა გამოსარკვევად, ამ წლის 15 თებერვალს **იწვევს საბჭოთა 1 და მე-2 საფეხურის პარტსკოლათა გამგეების თათბირს.**

თათბირის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების შესახებ:
2. მოხსენებანი ადგილებიდან, შესრულებულ მუშაობის შესახებ.
3. საბიბლიოთეკო და საკლუბო მოღვაწეობა.
4. პოლიტგანათლება და პარტიული მუშაობა.
5. საკითხი ლექტორების შესახებ და სხვა.

წინადადება ეძლევა საბჭოთა პარტსკოლების ყველა გამგეებს ჩამოვიდნენ ამ თათბირზე და წამოიღონ ყველა მასალები, რაც კი ეხება საბჭოთა პარტსკოლების შინაგან ცხოვრებას, მის შემადგენლობას და სამოსწავლო მოღვაწეობას.

თათბირი გაიხსნება ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი **ქართველიშვილი.**

ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ორაგველიძე.**

— დღეს, 9 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე **ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში** დანიშნულია თათბირი **ლენინის ნაწერების გამოცემის საკითხის განსახილველად.**

წინადადება ეძლევათ თათბირზე გამოცხადდნენ წარმომადგენელნი სახელგამისა, პოლიტგანათლების მთავარი მმართველობისა, პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებისა, ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ-ტისა, „წითელი წიგნისა“ და აგრეთვე ამხ. ისიდორე თალაქვაძე, პ. საყვარელიძე, სიმონ ჩიხლაძე.

ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ორაგველიძე.**

მეცადინეობის განაწილება პარტკლუბში.

შაბათს, 9 თებერვალს.

1. თათბირის საპროპაგანდო ქსელის გამომკვლევი კომისიისა, 6 საათზე.
2. პარტკლუბის გამგეობის სხდომა, 8 საათზე.

კვირას, 10 თებერვალს.

1. სალიტერატურო-სამხატვრო სექციის კრება 7 საათზე.

ორშაბათს, 11 თებერვალს.

1. ლენინიზმის შემსწავლელი წრის საორგანიზაციო კრება 7 საათზე.

სამშაბათს, 12 თებერვალს.

1. მარქსისტული წრის მეცადინეობა 7 საათზე.

პარტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე ა. პენიაკოვა.

— ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშფაკის ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის სხდომა დანიშნულია 11 თებერვალს, ორშაბათს, დღის 2 საათზე მეორე რაიკომის კომკავშირის კლუბის შენობაში.

განცხადებები

დედ მამა, ძმა და ქ. ქაკო, დები ნინო და ელენე, ლიკა კოხტაძე ვარდოსანიძეები. ქმარი პავლე ცინცაძე და სიძე ჭეჭიკო ჭიჭინაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი

შუშანას

გარდაცვალების ექვსი თვის თავზე კვირას 10 თებერვალს შუადღის 12 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

შვილები ზალვა და აკაკი, ნადეჟდა და ლიზა, [illegible] დათამარა, სიძეები ერუსლან არდიშვილი და [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 თებერვალს, [illegible] ზის ეკლესიაში (ვერაზე) 1 საათზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა პანაშვიდი დაუვიწყარი დედის

ესმა სოფრომის ასულის პაპავას

სულ ს მოსახსენებლად. 509 1—1

სატყეო ტრესტის თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით აცხადებენ, რომ ა. წ. 8 თებერვალს დილის 11 საათზე უდროოთ გარდაიცვალა სატყეო ტრესტის ძვირფასი თანამშრომელი

ალექსანდრა კონსტანტინეს ასული
ცაგარელი - მნელაძისა

დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული ცალკე მიცვალებული ასვენია თავის ბინაზედ: განოვის ქუჩა № 3.

512—1—1

რისიმე გიორგის ასული ლომთათიძისა შვილებით, ამილიცა და ალექსანდრე მითაიშვილი შვილებით, ფლორა და ივანე ასკურავა-წულუხებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ამხანაგებს ძვირფასი შვილისა და დის-ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის

ნინო იაგორის ასულ
ლომთათიძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა მიხეილის სამკურნალოდან ვერის სასაფლაოზე 9 თებერვალს, შაბათს, ნაშუადღევს 2 საათზე 511 1 1

განცხადება

აღმასკომის სადეზ. მაუქ. განყოფილების ვეტერინარულ-სანიტარულ პუნქტების შესახებ.

სავეტერინარო ექიმობრივ დახმარებისათვის უნდა მიმართოთ შემდეგ რაიონულ ექიმებს.

1—13	უბნის ვეტ.—ექიმი	ტიბენკოვი	კურსკის შეს. № 12.
2— 3	„ „ „	მიხა	გრიბოედოვის № 15.
4— 5	„ „ „	გალიცკი	გონჩაროვის № 41.
6	„ „ ფერშ.	გონჩაროვი	კუტილოვის ქ. № 5.
7— 8	„ „ ექიმი	წერეთელი	მთაწმინდის ქ. № 4.
9—10	„ „ „	მახათაძე	რკინისგზის სახ. № 6.
11—12	„ „ „	კვიტაშვილი	მალაკნის ქუჩ. № 30.

ვეტ-ექიმის თანაშემწეთ ითვლებიან იაროსლავცევი—მარტკოფის შეს. სახლი იფ-მოვისა და ბრიკინი—კრიტოვის შეს. სახ ბუნდერლიხისა.

სავეტერინარო ქ. განყოფილებას აქვს 19 თებერვლის ქუჩ № 22 ში მოთავსებული სავეტერინარო სამკურნალო მიღება ავადმყოფ საქონლისა სწარმოებს დილის 9 საათიდან—3 საათამდე.

აღმ. ვეტ. სანიტ. ქ. განყ. გამგე ექ. ვეტერინარი შინჯელია.

881 1—1

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ ვინაიდან

ორშაბათი დღე გაზეთების დასტამბვისათვის ითვლება დასვენების დღედ

(რადგან ისინი კვირაობით მუშაობენ და არიგებენ გაზეთებს), ამიტომ ექსპედიციას არ აქვს საშუალება კვირა დილას დასარიგებელი გაზეთები დაარიგოს ორშაბათს ხშირია შემთხვევა, რომ დამტარებელი, როცა შედის დაწესებულებაში გაზეთის ჩასაბარებლად ვერ პოულობს იქ ვერავის, და მოაქვს გაზეთები უკანვე ექსპედიციაში: რისთვისაც მას უხდება ორშაბათობითაც მუშაობა მათ დასარიგებლად.

რადგან ეს მოვლენა არანორმალურია და ეწინააღმდეგება შრომის კოდექსს გთხოვთ, რათა იქნას დანიშნული დაწესებულებებში კვირაობით მორიგე გაზეთების მისაღებად, რომელსაც მოუხდება მორიგეობა 10 საათამდის; წინააღმდეგ შემთხვევაში ორშაბათს გაზეთები არ იქნება ჩაბარებული დაწესებულებებზედ და ექსპედიცია დაგვიანებისათვის პასუხისმგებელი არ იქნება, ამ შემთხვევაში კვირას ჩასაბარებელი გაზეთები ჩაბარებული იქნება მხოლოდ სამშაბათ დილით.

3—2 ბეჭდვითი სიტყვის ექსპ-დ გამგე ა. ჩიხელაშვილი

ს. ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიის
დადგენილება № 3

საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე არსებულ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო წარმოებათა აღრიცხვის და მათი სავაჭრო მოქმედების შეთანხმების მიზნით შინა ვაჭრობის კომისია ადგენს:

1. ყველა ის სავაჭრო წარმოებანი, რომლებიც დღემდე არ არიან აღრიცხულნი, ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში აღირიცხნენ საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილებაში.

2 აღრიცხვა სავალდებულოა ყოველგვარ სავაჭრო წარმოებათათვის: სინდიკატები, ტრესტები, კონტორები, განყოფილებები, წარმომადგენლობები, ერთპიროვანი წარმომადგენლები და სხვ

3 ამა დადგენილების აუსრულობაში დამნაშავენი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში კოდექსის ძალით შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისთვის.

საქ. ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიის თავმჯდომარე [illegible].

მდივანი ზილძანია. კრ. 880 2—1

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—3

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—15

დაკარგე მოწმობა და „მონაპერი“ „B“ № 12053 1923 წ. 17 მაისის თარიღით ილია დავითის ძე აზმაიფარაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 507 1—1

დაკარგე პარტიული მანდატი № 494542 ამიერ კავკასიის კომ. უნივერსიტეტის მიერ მოცემული. სტუდენტობის მოწმობა № 145 პროფესიონალური კავშირის წიგნაკი № 1 ქ. ფოთის სატრანსპორტო კავშირის მიერ აღებული. „ჩონის“ მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად ლუკა სოლომონის ძე კალანდაძე. 508 1—1

დაკარგე მოწმობა მოცემული ქართულ ცხენოსან ლეგიონ-სგან 5 დეკემბერს 1923 წ. სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების შესახებ. ვლადიმერ მეზვრიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 506—1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 536 მოცემული ხიდისთავის თემისა აღმასკომის მიერ (ოზურ. მაზრა) ილიკო ლეონტის-ძე კვანტირაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

დაკარგე მოწმობა, მიღებული ხარკოვის უნივერსიტეტიდან აფთიაქის გამგის თანაშემწის წოდებისა 1910 წ., კონდუიტური სია და მეტრიკული მოწმობა კონსტანტინე სტეფანეს ძე შუბაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 510 1—1

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა, საშ. წულუკიძის ქუჩა № 4.